პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 192 (16013)

17 აგვისტო შაბათი 1974

ფასი 2 კაპ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

სრულვყოთ ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობა სახელმწიფო და შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა საკითხი, თუ როგორ მუშაობს თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსაშენებელი ქარხნის პარტიული ორგანიზაცია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1972 წლის 22 ნოემბრის დადგენილების შესაბამისად სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცებისა და სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგის დასამყარებლად ბრძოლის გაძლიერებისათვის.

როგორც ცნობილია, ამ დადგენილებაში მოწონებულია მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის საწარმოებისა და ორგანიზაციების მშრომელთა კოლექტივების ინიციატივა სახელმწიფო და შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის, სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგის დასამყარებლად, ადამიანთა შეგნებაში წარსულის გადმონაშთების გამოვლინებათა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებისათვის.

ამ პატრიოტული წამოწყების ერთ-ერთი ინიციატორი, აღნიშნულია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში, თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის კოლექტივთან, ქობულეთის რაიონის სოფელ ხუცუბნისა და გორის რაიონის სოფელ ტყვიავის მშრომელებთან ერთად იყო თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსაშენებელი ქარხნის კოლექტივიც.

ამ შრომითი კოლექტივების მოწოდებებს, კერძოდ თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსაშენებელი ქარხნის ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა მიმართვას რესპუბლიკისა და მისი დედაქალაქის ყველა მშრომელისადმი, პრინციპული მნიშვნელობა აქვთ. ეს ახალი ინიციატივა მოწმობს, რომ მუშები და კოლმეურნეები გვევლინებიან თავიანთ საწარმოთა ნამდვილ მოამაგეებად, მოწმობს, რომ მშრომელნი სულ უფრო ფართოდ მონაწილეობენ საზოგადოების მართვა-გამგეობაში, დიდმნიშვნელოვანი სოციალურ-პოლიტიკური ამოცანების გადაწყვეტაში.

მოწინავე კოლექტივების ინიციატივას მხურვალედ გამოეხმაურნენ და აქტიურად დაუჭირეს მხარი რესპუბლიკის მშრომელებმა. ეს საგულისხმო თაოსნობა ფართოდ გავრცელდა. მუშათა და სოფლის მშრომელთა კოლექტივებში გაჩაღდა ბრძოლა იმისათვის, რომ ყოველ სამუშაო ადგილზე, თითოეულ საწარმოში, სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა უბანზე დაემყარებინათ მტკიცე შრომისა და სახელმწიფო დისციპლინა.

ინიციატორთა თაოსნობით დაწყებულმა მოძრაობამ მცირე როლი როდი შეასრულა რესპუბლიკის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში ნაკლოვანებებისადმი შეურიგებლობის, სახელმწიფო დისციპლინის და საზოგადოებრივი წესრიგის უმკაცრესი დაცვის სულისკვეთებით მშრომელთა მასების აღზრდაში, ხელი შეუწყო მშრომელთა კოლექტივებში ჯეროვანი მორალურ-ფსიქოლოგიური ვითარების შექმნას.

მშობლიურ საწარმოში, კოლმეურნეობაში, საბჭოთა მეურნეობაში, სოფელში, რაიონში, ქალაქში, რესპუბლიკაში სანიმუშო კომუნისტური კულტურისათვის, კომუნისტური შრომისა და ყოფისათვის ბრძოლა გახდა თითოეული მშრომელის, მთელი ჩვენი მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, მთელი ჩვენი ინტელიგენციის ღირსების საქმე.

ამ მიმართულებით მუშაობის გარკვეული გამოცდილება შეიძინეს მოძრაობის ინიციატორებმა, მათ შორის თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსაშენებელი ქარხნის პარტიულმა, პროფკავშირულმა, კომკავშირულმა ორგანიზაციებმა და ადმინისტრაციამ. აქ გარკვეული პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობა წარმოებს, რათა აამაღლონ შრომითი კოლექტივის როლი საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, იმ აქტუალურ საკითხთა გადაწყვეტაში, რომლებიც დაკავშირებულია სახელმწიფო დისციპლინის შემდგომ განმტკიცებასა და სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგისათვის ბრძოლის გაძლიერებასთან.

პოზიტიური ძვრებია კოლექტივის სოციალურ-ეკონომიური ცხოვრების დარგში. გაუმჯობესდა ქარხნის საწარმოო სტრუქტურა. უფრო პროგრესული გახდა ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა შრომის ხასიათი და შინაარსი, ამაღლდა მუშაკთა ტექნიკური, ზოგადი განათლების, სამართლებრივი ცოდნის დონე, გაუმჯობესდა მათი მატერიალური კეთილდღეობა. ყოველივე ამან განაპირობა ის, რომ ქარხანამ გააუმჯობესა ხუთწლიანი გეგმის დავალებათა შესრულების საწარმოო-ეკონომიური მაჩვენებლები.

ქარხნის კოლექტივმა ვადამდე შეასრულა 1973 წლის სახელმწიფო გეგმა და სოციალისტური ვალდებულებანი. შარშან, 1970 წელთან შედარებით, შრომის ნაყოფიერების ზრდის გზით მიღწეულმა მთლიანი პროდუქციის მატებამ 24,6 პროცენტი შეადგინა. გაუმჯობესდა ელმავლების ხარისხი, შემცირდა მათი თვითღირებულება. ხუთწლედის სამ წელიწადში საკონტროლო დავალების გადამეტებით გამოშვებულია 3 მილიონი მანეთის პროდუქცია.

ამასთანავე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავს, რომ კოლექტივის საწარმოო წარმატებანი, ვალდებულებათა შესრულების სოციალური ეფექტიანობა გაცილებით უფრო მეტი, უფრო დამაჯერებელი იქნებოდა, ქარხნის პარტიულ, პროფკავშირულ, კომკავშირულ ორგანიზაციებს, ადმინისტრაციას უფრო მტკიცედ და თანმიმდევრულად რომ სრულეყოთ ორგანიზატორული და პოლიტიკური, აღმზრდელობითი მუშაობა, უფრო ფართოდ გამოეყენებინათ სამართლებრივი რეგულირების ფორმები და საშუალებანი თავიანთ ყოველდღიურ სამეურნეო და აღმზრდელობით საქმიანობაში. კოლექტივის სოციალური განვითარების გეგმით არ არის გათვალისწინებული იურიდიული სამსახურის, ქარხნის პარტიულ-სამეურნეო აქტივის, მუშებისა და მოსამსახურეების სამართლებრივი მომზადებისა და სამართლებრივი აღზრდის სრულყოფის საკითხები. ყოველივე ამან თავისი დაღი დაასვა შრომისა და საზოგადოებრივი დისციპლინის მდგომარეობას, რომლის დონე ქარხანაში ჯერ კიდევ არ შეესაბამება მაღალ ვალდებულებებს, ამ შრომითმა კოლექტივმა რომ იკისრა. აქ ადგილი აქვს სამუშაოზე დაგვიანების, სამუშაოდან ნაადრევი წასვლის, გაცდენის შემთხვევებს, არის ფაქტები, როცა დაუდევრად და უპატიოსნოდ ეკიდებიან საზოგადოებრივ საკუთრებას, ურიგდებიან წვრილმან ქურდობას, დატაცებას და სხვა ანტისაზოგადოებრივ გამოვლინებებს. იშვიათი როდია შემთხვევები, როცა ქარხნის მუშა-მოსამსახურენი არღვევენ საზოგადოებრივ წესრიგს. ამ დარღვევების ნახევარზე მეტი სიმთვრალის ნიადაგზეა ჩადენილი.

ჯერ კიდევ ხშირია შემთხვევები, როცა ირღვევა შრომის კანონმდებლობა. ქარხნის ადმინისტრაცია დროზე ან მთლიანად არ ასრულებს თავის მოვალეობებს მუშათა შრომის, ჯანმრთელობისა და ყოფა-ცხოვრების დაცვა-გაუმჯობესების საქმეში.

მთელ რიგ შემთხვევებში საამქრო პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები ფორმალურად რეაგირებენ სამართალდარღვევათა ფაქტებზე. ზერელედ და დაგვიანებით იხილავენ ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა წერილებს, განცხადებებსა და სიგნალებს, რომლებშიც ააშკარავებენ და აფრთხილებენ სამართალდარღვევათა ფაქტებზე. ჯეროვნად მტკიცე კონტაქტები არ არის დამყარებული საწარმოს საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, ადმინისტრაციასა და რაიონის ადმინისტრაციულ ორგანოებს შორის. ქარხანაში სუსტად არის დაყენებული კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა, სამართლებრივი პროპაგანდა.

ქარხნის პარტიულ, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს არ დაუწესებიათ შეუნელებელი კონტროლი იმ საკითხებისადმი, რომ ყოველნაირად განამტკიცონ სახელმწიფო, შრომისა და საზოგადოებრივი დისციპლინა, ჯეროვნად არ წარმართავენ საამქრო პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების საქმიანობას ამ უმნიშვნელოვანესი ამოცანების გადასაწყვეტად. მაგალითად, 1973-1974 წლებში ქარხნის პარტკომს ერთხელაც არ უმსჯელია იმაზე, თუ როგორ მუშაობენ საამქრო პარტიული ორგანიზაციები და პარტჯგუფები, რათა მუშათა კოლექტივი დარაზმონ ნაკისრ ვალდებულებათა შესასრულებლად, კომუნისტთა ავანგარდული როლის უზრუნველსაყოფად დისციპლინისა და სოციალისტური მართლწესრიგის განმტკიცებისათვის ბრძოლაში, როგორც ამას მოითხოვს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1972 წლის 22 ნოემბრის დადგენილება.

დადგენილებაში აღნიშნულია, რომ ნაკლოვანებანი და ხარვეზები, რომლებსაც ადგილი აქვს თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსაშენებელი ქარხნის პარტორგანიზაციის მუშაობაში სახელმწიფო, შრომისა და საზოგადოებრივი დისციპლინის განსამტკიცებლად, იმის შედეგია, რომ საკმარისი ყურადღება არ ეთმობა კოლექტივში პოლიტიკურ-მასობრივი მუშაობის საკითხებს, სუსტია აღმზრდელობითი მუშაობის ქმედითობის, ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების, მშრომელთა ინიციატივისა და აქტივობის შემდგომი განვითარების მორალურ-პოლიტიკური და სოციალური შედეგების ანალიზი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა წინადადება მისცა თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსაშენებელი ქარხნის პარტიულ კომიტეტს (პარტკომის მდივანი ზ. ძიძიგური), პროფკავშირის საქარხნო კომიტეტს (პროფკავშირის საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარე გ. ლობჟანიძე), კომკავშირის კომიტეტს (მდივანი მ. ხაჩიძე) და ადმინისტრაციას (დირექტორი ა. ბუაძე) მიიღონ ქმედითი ზომები, რათა კიდევ უფრო გააძლიერონ ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობა, აამაღლონ კომუნისტთა ავანგარდული როლი, გააძლიერონ საამქრო პარტორგანიზაციათა ბრძოლისუნარიანობა, გააქტიურონ პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციათა საქმიანობა და ამ საფუძველზე მიაღწიონ სახელმწიფო და შრომის დისციპლინის განმტკიცებას, უფრო ფართოდ გაშალონ ბრძოლა სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგისათვის.

დადგენილებაში ნათქვამია, რომ საჭიროა სრულვყოთ იდეურ-პოლიტიკური, სააგიტაციო-პროპაგანდისტული, აღმზრდელობითი მუშაობის ფორმები და მეთოდები, თანმიმდევრულად, ღრმად და გასაგებად განვუმარტოთ მშრომელებს საზოგადოებრივი დისციპლინის განმტკიცებისათვის გაშლილი საყოველთაო-სახალხო მოძრაობის ზოგადი და სოციალური მნიშვნელობა, შევაგნებინოთ თითოეულ კომუნისტს, ყველა მშრომელს, რომ აქტიურად უნდა მონაწილეობდნენ ამ მოძრაობაში, ფართოდ გავუწიოთ პროპაგანდა საბჭოთა ხალხის რევოლუციურ და შრომით ტრადიციებს.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს მუშა ახალგაზრდობის, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების კურსდამთავრებულთა, მოზარდთა პოლიტიკური, შრომითი, ზნეობრივი აღზრდის საკითხებს, სხვადასხვა ფორმის დამრიგებლობის, ახალგაზრდობასთან საშეფო ინდივიდუალურ-აღმზრდელობითი მუშაობის დანერგვასა და შემდგომ განვითარებას. დადგენილებაში აღნიშნულია, რომ უნდა ამაღლდეს ოსტატების, საამქროთა უფროსებისა და წარმოების სხვა ორგანიზატორების აღმზრდელობითი როლი და პასუხისმგებლობა მათთვის მინდობილ მუშათა კოლექტივებში სოციალისტური საერთო ცხოვრების ნორმების დაცვისათვის; მიიღონ ზომები იმ მიზეზებისა და პირობების აღმოსაფხვრელად, რომლებიც ხელს უწყობენ დაგვიანებას, გაცდენას, სამუშაო დროის არასაწარმოო დანაკარგებს.

ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ დიდი მნიშვნელობა ენიჭება სისტემატურ კონტროლს შრომის კანონმდებლობის დაცვისადმი, იურიდიული ბიუროების როლის ამაღლებას წარმოებაში სამართლებრივი სამსახურის საკითხთა რეგულირებასა და გადაწყვეტაში.

აღნიშნულია, რომ საჭიროა უზრუნველვყოთ შრომითი საწარმოო კოლექტივის სამართლებრივ შესაძლებლობათა უფრო ზუსტი გამოყენება, გავააქტიუროთ სახალხო კონტროლის ჯგუფებისა და საგუშაგოების, „კომკავშირული პროჟექტორის“, ამხანაგური სასამართლოებისა და სხვა სამართლებრივი საზოგადოებრივი ინსტიტუტების მუშაობა, წარვმართოთ მათი საქმიანობა დისციპლინისა და წესრიგის უმკაცრესი დაცვის ვალდებულებათა შემდგომი შესრულებისათვის; მიზანდასახულად და განუხრელად განვახორციელოთ სამართლებრივი პროპაგანდა და სამართლებრივი აღზრდა, გავააქტიუროთ ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულების მუშაობა.

დადგენილებაში ხაზგასმულია, რომ საჭიროა უზრუნველვყოთ ქარხანაში სოციალისტური მართლწესრიგის განმტკიცების ღონისძიებათა ფართო საჯაროობა, დროზე ვაცნობოთ კოლექტივებს სამართალდარღვევათა ფაქტები და მათთან დაკავშირებით მიღებული ღონისძიებანი.

საჭიროა ვავითარებდეთ და სრულვყოფდეთ კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობას, ვამაღლებდეთ მუშა-მოსამსახურეთა ესთეტიკური, ზნეობრივი აღზრდის დონეს, დღენიადაგ ვზრუნავდეთ საწარმოო ყოფის გაუმჯობესებისათვის, შრომისა და ჯანმრთელობის დაცვისათვის, თავისუფალი დროის უფრო კულტურული, შინაარსიანი ორგანიზაციისათვის, მშრომელთა სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესებისათვის.

თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსაშენებელი ქარხნის პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციები და ადმინისტრაცია უმკაცრესი სახელმწიფო, შრომის, საზოგადოებრივი დისციპლინის დამკვიდრებისათვის ბრძოლაში ყოველნაირად უნდა ავითარებდნენ და ამტკიცებდნენ სოციალისტური კოლექტივიზმის პრინციპს.

საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ლენინის რაიკომს დაევალა პრაქტიკული დახმარება გაუწიოს თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსაშენებელი ქარხნის პარტიულ ორგანიზაციას აღნიშნულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრაში, გააძლიეროს ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობა, ხელმძღვანელობა და კონტროლი რაიონის საწარმოთა, დაწესებულებათა და უწყებათა პირველადი პარტიული ორგანიზაციების საქმიანობისადმი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1972 წლის 22 ნოემბრის დადგენილების შესასრულებლად.

თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომს წინადადება მიეცა განახორციელოს ღონისძიებანი საქარხნო მიკრორაიონის მოსახლეობის სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურების გასაუმჯობესებლად.

აღინიშნა, რომ საქართველოს სსრ პროკურატურა, უმაღლესი სასამართლო, იუსტიციის სამინისტრო მოვალენი არიან გააძლიერონ მეთვალყურეობა იმისადმი, რომ რესპუბლიკის საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში ზუსტად იცავდნენ შრომისა და სამეურნეო კანონმდებლობას, ყოველნაირად განამტკიცონ კავშირი შრომითი საწარმოო კოლექტივებთან, აამაღლონ გამსვლელი სასამართლო პროცესების, სესიებისა და სხვა სამართლებრივ ღონისძიებათა აღმზრდელობითი როლი, საზოგადოებრივი მნიშვნელობა.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტს დაევალა გააღრმაოს სოციალური დაგეგმვის პრობლემების, შრომით კოლექტივებში სამართალდარღვევებთან ბრძოლის საკითხების მეცნიერულ გამოკვლევათა შემუშავება.

საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა უნდა მიიღოს ზომები, რათა კიდევ უფრო აამაღლოს რესპუბლიკის საწარმოების, მშენებლობების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, დაწესებულებებისა და უწყებების როლი და პასუხისმგებლობა ბრძოლაში, რომელიც წარმოებს ახალგაზრდობას შორის სოციალისტური საერთო ცხოვრების ნორმების განმტკიცებისათვის, სანიმუშო შრომისა და საზოგადოებრივი დისციპლინის დამყარებისათვის, რესპუბლიკის კომკავშირულ ორგანიზაციებში აღნიშნული დადგენილების შესრულების უზრუნველყოფისათვის.

საქართველოს პროფსაბჭოს წინადადება მიეცა გააძლიეროს პროფკავშირულ ორგანიზაციათა როლი მუშათა კოლექტივების შრომით, საზოგადოებრივ აღზრდაში; გაუწიოს დახმარება თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსაშენებელი ქარხნის კოლექტივს დასასვენებელი ბაზის შექმნასა და კეთილმოწყობაში, ქარხნის მუშა-მოსამსახურეებისა და საქარხნო მიკრორაიონის მოსახლეობის კულტურული მომსახურების გაუმჯობესებაში.

საქართველოს კომპარტიის საოლქო, საქალაქო კომიტეტებს, რაიკომებს დაევალათ სისტემატურ შეისწავლონ და კონტროლი გაუწიონ იმას, თუ როგორ ასრულებენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1972 წლის 22 ნოემბრის დადგენილებას საწარმოებში, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, დაწესებულებებისა და უწყებების პარტიულ ორგანიზაციებში, განაზოგადონ და პროპაგანდა გაუწიონ საუკეთესო კოლექტივების გამოცდილებას, შეისწავლონ და განიხილონ საკითხი, თუ როგორ ასრულებენ თავიანთ ვალდებულებებს სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში მიმდინარე შეჯიბრების ინიციატორები, აგრეთვე იმ ახალი დიდმნიშვნელოვანი თაოსნობათა წამომწყებნი, რომელთა მიზანია განამტკიცონ შრომისა და საზოგადოებრივი დისციპლინა, ჩაუნერგონ მშრომელებს დაკისრებული საქმისათვის პასუხისმგებლობის გრძნობა, მიაღწიონ სიტყვისა და საქმის ერთიანობას.

• • •

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი გამოთქვამს მტკიცე რწმენას, რომ თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსაშენებელი ქარხნის კოლექტივი, ასრულებს რა სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებს, სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებას „საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“ და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIII პლენუმის გადაწყვეტილებებს, პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით ყოველ ღონეს იხმარს, რათა დაიკავოს წამყვანი, ჭეშმარიტად ავანგარდული როლი სახელმწიფო და შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის, სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგის დამყარებისათვის, ადამიანთა შეგნებაში წარსულის გადმონაშთების გამოვლინებათა წინააღმდეგ ბრძოლაში.

(საქინფორმი).

ხუთწლედის მშენებლობებზე

ქაზრეთის მთებმა გამოაჩინეს თავისი საგანძური. სპილენძის გარდა, აქ არის ტყვია, თუთია, ბარიტი, პირიტი, კვარცი, თაბაშირი და ბევრი სხვა. ამ სასარგებლო წიაღისეულის ბაზაზე მადნეულის მასივში შენდება საქართველოს ფერადი მეტალურგიის პირმშო. კომბინატი სრული სიმძლავრით ხუთწლედის დამლევისათვის ამუშავდება. ამჟამად წარმოებს აგრეთვე ბარიტისა და სპილენძის მადნის მოპოვება. მისი პირველი ტონები უკვე გაუგზავნეს ქვეყნის გამამდიდრებელ ფაბრიკებს. საამქრომ, რომელიც ტყვიის მინისაგან ხარისხოვან ჭურჭელს ამზადებს, გამოუშვა პირველი პროდუქცია: სასალათეები, ყვავილების ვაზები, საკამფეტეები, ქართული ეროვნული ჩუქურთმით შემკული ჭიქები.

სურათებზე: ზემოთ — მოწინავე მბურღავი კომუნისტი შოთა გოგოლაძე. იგი უკვე შრომობს ხუთწლედის მეხუთე წლის ანგარიშში. ქვემოთ — აშენებენ სასქელებლებს.

ვ. მორბუნოვის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ფერადი მეტალურგიის პირმშო



ლ. ი. ბრეჟნევი შეხვდა ე. გერეკს

15 აგვისტოს ყირიმში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი შეხვდა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ე. გერეკს, რომელიც აქ დასასვენებლად არის ჩამოსული.

ორი პარტიის ხელმძღვანელებმა მეგობრული საუბრის დროს კმაყოფილება გამოთქვეს საბჭოთა კავშირ-პოლონეთის ყოველმხრივი თანამშრომლობის გამო და იმსჯელეს მისი შემდგომი განვითარების პერსპექტივებზე. ამხანაგებმა ლ. ი. ბრეჟნევმა და ე. გერეკმა ერთმანეთს გააცნეს სსრ კავშირისა და პოლონეთის საერთაშორისო საქმიანობა და გაუზიარეს აზრები ევროპისა და მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის ბრძოლის ზოგიერთი პრობლემის თაობაზე.

შეხვედრამ ჩაიარა გულითადობისა და სრული ერთსულოვნების ვითარებაში.

საპატიო წოდებების მინიჭება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1974 წლის 15 აგვისტოს ბრძანებულებით ქართული საბჭოთა თეატრალური და მუსიკალური კულტურის განვითარებაში დამსახურებისათვის მიენიჭათ საპატიო წოდება:

საქართველოს სსრ სახალხო არტისტის:

კაპიტონ მელქისედეკის-ძე **აბესაძეს** — ქუთაისის ლ. მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობს.

ნანი გიორგის ასულ **ბრეგვაძეს** — საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის ვოკალურ-ინსტრუმენტულ ანსამბლ „ორერას“ სოლისტს.

თინათინ ვასილის ასულ **ბურბუთაშვილს** — თელავის ს. ორჯონიკიძის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობს.

ვახტანგ ბესარიონის-ძე **გუნაშვილს** — თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის ბალეტის სოლისტს.

ლიანა ალექსანდრეს ასულ **ისაკაძეს** — საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის სოლისტს.

კარლო ილიას-ძე **საკანდელიძეს** — თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური დრამატული თეატრის მსახიობს.

ელენე ვასილის ასულ **ყიფშიძეს** — თბილისის კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური დრამატული თეატრის მსახიობს.

საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის:

ნანა (ნათელა) ალექსანდრეს ასულ **დემეტრაშვილს** — მესხეთის სახელმწიფო დრამატული თეატრის მთავარ რეჟისორს.

ანზორ კონსტანტინეს-ძე **ქუთათელაძეს** — რეჟისორს.

საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის:

გივი ზაქარიას-ძე **ბერიკაშვილს** — რუსთავის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობს.

თამაზ ალექსის-ძე **ბათიაშვილს** — საქართველოს სახელმწიფო დამსახურებული სიმებიანი კვარტეტის მსახიობს.

თეიმურაზ შოთას-ძე **დავითაიას** — საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის ვოკალურ-ინსტრუმენტულ ანსამბლ „ორერას“ სოლისტს.

კონსტანტინე პეტრეს-ძე **ვარდანიანს** (ვარდელს) — საქართველოს სახელმწიფო დამსახურებული სიმებიანი კვარტეტის მსახიობს.

ნატალია ალექსანდრეს ასულ **თუმანოვას** — თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის უფროს მასწავლებელს.

ნოდარ არჩილის-ძე **ჟვანიას** — საქართველოს სახელმწიფო დამსახურებული სიმებიანი კვარტეტის მსახიობს.

ერმია ვლადიმერის-ძე **სვანიძეს** — ქუთაისის ლ. მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობს.

ლეილა ალექსანდრეს ასულ **შინჯიაშვილს** — თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის უფროს მასწავლებელს.

ოთარ ნიკოლოზის-ძე **ჩუბინიშვილს** — საქართველოს სახელმწიფო დამსახურებული სიმებიანი კვარტეტის მსახიობს.

„სალუტ-3“ სადგური ფრენას განაგრძობს

ფრენის მართვის ცენტრი, 16 აგვისტო. (საქდისი). „სალუტ-3“ სამეცნიერო ორბიტული სადგური, რომელიც დედამიწის ირგვლივ ორბიტაზე გაიყვანეს ამა წლის 25 ივნისს, ფრენას განაგრძობს ავტომატური რეჟიმით. 16 აგვისტოს 9 საათისათვის მოსკოვის დროით სადგურმა 840-ჯერ შემოუფრინა დედამიწას.

ახლა ორბიტის პარამეტრებია:

— მაქსიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან (აპოგეა) — 278 კილომეტრი.

— მინიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან (პერიგეა) — 260 კილომეტრი.

— ორბიტის დახრილობა — 51,6 გრადუსი;

— მიმოქცევის პერიოდი — 89,7 წუთი.

ტელემეტრიული ინფორმაციის მონაცემების თანახმად სადგურის ყველა საბორტო სისტემა ნორმალურად მუშაობს. მიკროკლიმატის პარამეტრები სადგურის ნაკვეთურებში გათვალისწინებულ ფარგლებშია.

საკოორდინაციო გამოთვლითი ცენტრი ამუშავებს მიღებულ ინფორმაციას.

კომბაინერთა შეჯიბრება

□

გადაეცათ „კომუნისტის“ ვიმპელები

ხაშური

კოლმეურნეობა „ზემო ქართლის“ კომბაინერმა **ბიჭიკო ოსიაშვილმა** მოსავალი აიღო სულ 127 ჰექტარზე და საშუალოდ ჰექტარზე გალეწა 16 ცენტნერი მარცვალი. მას გადაეცა „კომუნისტის“ ვიმპელი.

სურამის კოლმეურნეობაში კომბაინერმა **მიხეილ ხარაზიშვილმა** მომკა 275 ჰექტარი, გალეწა 365 ტონა მარცვალი, ხცისელმა კომბაინერმა **ალექსი ხაჩიძემ** პურეული აიღო 129 ჰექტარზე, საშუალოდ ჰექტარზე გალეწა 17 ცენტნერი მარცვალი, ხოლო წრომის კოლმეურნეობის კომბაინერმა **ნოდარ მიქელაშვილმა** მოსავალი აიღო 122 ჰექტარზე და გალეწა 200 ტონა მარცვალი.

გორი

„კომუნისტის“ ვიმპელის მოპოვებისათვის იბრძვის **ნოშრევან ბეგიაშვილი**, რომელიც მეჯვრისხევის კოლმეურნეობაში ყოველდღიურად 12 ჰექტარს მკის და საშუალოდ ჰექტარზე 20-23 ცენტნერ მოსავალს ლეწავს. **დემურ კიჩხუაშვილმა** ძევერის კოლმეურნეობაში მოსავალი აიღო 150 ჰექტარზე და საშუალოდ ჰექტარზე მიღებული აქვს 24 ცენტნერი მარცვალი.

ზნაური

სოფელ მუგუთის კოლმეურნეობაში კომბაინერმა **იური ქელეხსაევმა** მოსავალი აიღო 130 ჰექტარზე, საშუალოდ ჰექტარზე გალეწა 15 ცენტნერი მარცვალი, ხოლო თიდველმა კომბაინერმა **ილია ტრამაკიძემ** 100 ჰექტარზე მომკა პურეული, საშუალოდ ჰექტარზე გალეწა 24 ცენტნერზე მეტი მარცვალი.

მათ კომბაინზე ფრიალებს „კომუნისტის“ გარდამავალი ვიმპელი.

სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულს

მსოფლიო დღეს

კვიპროსი: ვითარება მწვავდება

- ცხარე ბრძოლები ნიქოზიაში
- თურქეთის პრემიერ-მინისტრის განცხადება
- საბერძნეთი უარს ამბობს ნატოს წარმომადგენლის ვიზიტზე

ბეირუთი, 16 აგვისტო. (საქდესი). კვიპროსში არ წყდება საომარი მოქმედება. მოდის ცნობები, რომ წუხელ თურქეთის სამხედრო-საზღვაო ძალების ხომალდები ცეცხლს უშენდნენ ბერძნული გვარდიის ნაწილების პოზიციებს ჩრდილოეთ სანაპიროზე კირენიასა და ანდრეასის კონცხს შორის, აგრეთვე ქალაქ მორფუს ახლომდებარე სოფელ ლიმნიტისს.

თურქეთის ჯარებმა ხელთ იგდეს სამხედრო-საზღვაო ბაზა ბოღაზის რაიონში, რომელიც 16 კილომეტრზეა მათ მიერ დაკავებული ფამაგუსტის ჩრდილოეთით.

ბრძოლები გრძელდება შიგ ნიქოზიაშიც ჯერჯერობით უშედეგოა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წარმომადგენელთა მეცადინეობა, რომლებიც ცდილობენ მიაღწიონ ცეცხლის შეწყვეტას დედაქალაქში.

ანკარა, 16 აგვისტო. (საქდესი). აქ გამოქვეყნებულ სამხედრო სარდლობის კომუნიკეში ნათქვამია, რომ თურქეთის ჯარები, მორფუს დაკავების შემდეგ, მიიწევენ ნიქოზიის დასავლეთით მდებარე ქალაქ ლეფკის მიმართულებით. პრესა იუწყება, რომ თურქეთის არმიის დანაკარგებმა საომარი მოქმედების ორი დღის მანძილზე შეადგინა 21 დახოცილი.

თურქეთის პრემიერ-მინისტრმა ბ. ეჯევითმა განაცხადა, რომ თურქეთი არ აპირებს ისარგებლოს კვიპროსზე მოპოვებული სამხედრო წარმატებებით და ხელთ იგდოს მთელი კუნძული. სამხედრო გამარჯვებისა და ჩვენი ძლიერების მიუხედავად, თქვა მან, ჩვენ გავჩერდებით იქ, სადაც ვაპირებდით გაჩერებას, თუ მოლაპარაკების მაგიდასთან გადავწყვეტთ საჭირო საკითხებს. ბ. ეჯევითმა თქვა, რომ საგარეო საქმეთა მინისტრი ტ. გიუნეში მზად იქნება მიიღოს მონაწილეობა ჟენევის მოლაპარაკებაში, თუ იგი განახლდა.

ათენი, 16 აგვისტო. (საქდესი). საბერძნეთის პრემიერ-მინისტრმა კ. კარამანლისმა რადიოთი და ტელევიზიით გამოსვლისას განაცხადა, რომ საბერძნეთის ჯარების კვიპროსში გაგზავნა შეუძლებელია საბერძნეთისაგან ამ კუნძულის სიშორის გამო, აგრეთვე იმ მიზეზით, რომ კუნძულის ამბები მომხდარი ფაქტია.

როგორც აქ გამოაცხადეს, საბერძნეთმა უარყო ამერიკის შეერთებული შტატების წინადადება, რომ საგარეო საქმეთა მინისტრი გ. მავროსი ვაშინგტონში ჩასულიყო კვიპროსის კრიზისის თაობაზე მოსალაპარაკებლად.

ამავე განცხადებაში ნათქვამია, რომ საბერძნეთის მთავრობას მიზანშეუწონლად მიაჩნია საბერძნეთში ნატოს გენერალური მდივნის ი. ლუნსის ვიზიტი, რომელიც ახლა ამ ბლოკის ხაზით ცდილობს კვიპროსის კრიზისის მოწესრიგებას.

ვაშინგტონი, 15 აგვისტო. (საქდესი). თეთრი სახლის პრესის საკითხთა მდივანმა ჯ. ტერჰორსტმა პრეს-კონფერენციაზე წაიკითხა შემდეგი განცხადება: „პრეზიდენტ ჯ. ფორდს სურს ყურადღება მიაპყრონ სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადებას, რომ შეერთებული შტატები არ იწონებს თურქეთის სამხედრო აქციას კვიპროსში და რომ მოუწოდებს დაუყოვნებლივ შესრულდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შესაბამისი რეზოლუცია ცეცხლის შეწყვეტის შესახებ".

სენატორმა ე. კენედიმ განაცხადა: მაწუხებს ის ამბავი, რომ ამერიკის შეერთებული შტატები კვიპროსის კრიზისში მთლიანად არ იყენებს თავის შეგავლენას, რათა ბოლო მოეღოს საომარ მოქმედებას კუნძულზე, მიაღწიონ კვიპროსიდან უცხოეთის მთელი ჯარების ევაკუაციას და გამონახონ „კვიპროსის პრობლემის გადაწყვეტის გზა".

ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის 24 წევრმა ჯ. ფორდს გაუგზავნა დეპეშა, რომელშიც მოუწოდებენ „უფრო ეფექტიანად დაუჭიროს მხარი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მოქმედებას კვიპროსში შექმნილი სიტუაციის მიმართ".

ანკარა, 15 აგვისტო. (საქდესი). თურქეთის მთავრობამ დღეს გასცა ბრძანება 16 საათზე გრინვიჩის დროით (19 საათზე მოსკოვის დროით) კვიპროსში ცეცხლის შეწყვეტის შესახებ, განაცხადა თურქეთის პრემიერ-მინისტრმა ბ. ეჯევითმა.

უშიშროების საბჭოში

ნიუ-იორკი, 16 აგვისტო. (საქდესის კორ.). კვიპროსში მდგომარეობის მკვეთრ გამწვავებასთან დაკავშირებით უშიშროების საბჭომ წუხელ გამართა საგანგებო სხდომა. საბჭომ მიიღო ორი ახალი გადაწყვეტილება, რომლებიც გამომუშავებულია ორი დღის ინტენსიური კონსულტაციების შედეგად. ამ გადაწყვეტილებათა ძირითადი აზრის მოთხოვნაა, რომ ზუსტად და გადაუდებლად შეასრულონ ყველა დებულება უშიშროების საბჭოს 20 ივლისის რეზოლუციისა, რომელიც ითვალისწინებს კვიპროსის საკითხის სამართლიან და მტკიცე მოწესრიგებას ამ ქვეყნის სუვერენიტეტის, დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემის საფუძველზე. საბჭომ აგრეთვე მოუწოდა ყველა დაინტერესებულ მხარეს ითანამშრომლონ კვიპროსში მყოფ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ძალებთან და არ დაუშვან მოქმედება, რომელსაც შეუძლია საფრთხე შეუქმნას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პერსონალის სიცოცხლესა და უსაფრთხოებას.

კვიპროსის წარმომადგენელმა უკმაყოფილება გამოთქვა იმასთან დაკავშირებით, რომ უშიშროების საბჭომ დღემდე ვერ მიაღწია თავის გადაწყვეტილებათა განხორციელებას.

მიუმხრობელი ქვეყნების ჯგუფის სახელით გამოვიდა ალჟირის წარმომადგენელი, რომელმაც განაცხადა, რომ საჭიროა კვიპროსელი ხალხის წარმომადგენლები აუცილებლად მონაწილეობდნენ ყოველგვარი გადაწყვეტილების მიღებაში, რომლებიც მის ქვეყანას ეხება.

სსრ კავშირის წარმომადგენელმა ი. ა. მალიკმა განაცხადა, რომ უშიშროების საბჭომ მთელი პასუხისმგებლობა კვიპროსში ძალადობისათვის, რასაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და მთელი მსოფლიოს თვალწინ სჩადიან, უნდა დააკისროს ნატოს გარკვეულ წრეებს, რომლებიც კვიპროსელი ხალხის ზურგსუკან წყვეტენ მის ბედს, უხეშად თელავენ ფეხქვეშ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების პრინციპებსა და ნორმებს.

ამ ბოლო დღეების მოვლენები, განაგრძო მან, მთელი დამაჯერებლობით ადასტურებენ, რომ სწორია საბჭოთა მთავრობის განცხადებებში მოცემული შეფასება, რომლის თანახმად სასწორზე დევს კვიპროსის როგორც დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფოს, მიუმხრობლობის მოძრაობის აქტიური მონაწილის ბედი.

საბჭოთა მთავრობა, ხაზგასმით აღნიშნა ი. ა. მალიკმა, დაჟინებით მოითხოვს, რომ დაუყოვნებლივ შეწყდეს უცხოეთის სამხედრო ინტერვენცია კვიპროსის წინააღმდეგ, კუნძულიდან გამოიყვანონ უცხოეთის ყველა ჯარი, აღადგინონ კვიპროსის რესპუბლიკის კონსტიტუციური მთავრობა, და ამ მთავრობის ყველა ინსტიტუტი.

ცვლილებანი არგენტინის მთავრობაში

ბუენოს-აირესი, 15 აგვისტო. (საქდესი). არგენტინის პრეზიდენტი მარია ესტელა მარტინეს დე პერონი დაეთანხმა შინაგან საქმეთა მინისტრის ბ. ლიამბის, ეროვნული თავდაცვის მინისტრის ა. რობლედოსა და კულტურისა და განათლების მინისტრის ხ. ტაიანას გადადგომას. მათ ნაცვლად შესაბამისად დაინიშნენ ბუენოს-აირესის პროვინციის მთავრობის ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრი ა. როკამორა, არგენტინის ყოფილი ელჩი იტალიაში ა. სავინო და ო. ივანისევიჩი, რომელსაც იგივე პოსტი (განათლებისა და კულტურის მინისტრის პოსტი) ეკავა 50-იანი წლების დამდეგს.

დანარჩენი მინისტრების გადადგომას პრეზიდენტი არ დაეთანხმა.

გადამდგარმა მინისტრებმა თავიანთი ეს ნაბიჯი ახსნეს მისწრაფებით, რომ პრეზიდენტს საშუალება მისცენ მოახდინოს კადრების საჭირო გადანაცვლება. მთავრობაში ცვლილებები მოხდა იმ მომენტში, როცა რეაქციის ძალებმა მნიშვნელოვნად გააქტიურეს თავიანთი საქმიანობა. ზემოქმედება მოახდინეს მთავრობაზე და მოითხოვეს ყველა მინისტრის და პირველ რიგში ეკონომიკის მინისტრის ხოსე ხელბარდის გადაყენება.

ბანდიტი გაამართლეს

ბუენოს-აირესი, 15 აგვისტო. (საქდესი). ჩილეს უმაღლესმა სასამართლომ საპატიმროდან გაათავისუფლა პირწავარდნილი რეაქციონერი ხუან ლუის ბულნესი, რომელიც 1970 წლის ოქტომბერში უშუალოდ მონაწილეობდა ჩილეს არმიის სარდლის გენერალ რენე შნაიდერის მკვლელობაში. როგორც ცნობილია ეს დანაშაულებრივი აქცია რეაქციულმა ძალებმა მოიმოქმედეს იმ მიზნით, რომ არ დაეშვათ ხელისუფლების გადაცემა არჩევნებში გამარჯვებული სალვადორ ალიენდესათვის. მაშინ ბულნესმა შეძლო თავი დაეღწია სასჯელისაგან. იგი სამშობლოდან გაიქცა და ეს ბოლო წლები შეერთებულ შტატებში ცხოვრობდა. ერთი თვის წინათ იგი ჩილეში დაბრუნდა, რათა მართლმსაჯულებას „ჩაბარებოდა". ბანდიტის ვარაუდი გამართლდა: მისი საქმის გარჩევისას უმაღლეს სასამართლო ინსტანციაში „დაამტკიცეს", რომ საკმარისად აქვთ საფუძვლები ლუის ბულნესის გამართლებისათვის.

დიდი ბრიტანეთის კომპარტიის აქტივისტები თბილისში

თბილისში ჩამოვიდა დიდი ბრიტანეთის კომპარტიის აქტივისტთა ჯგუფი, რომელიც ჩვენს ქვეყანაში იმყოფება სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოწვევით. ისინი ეცნობიან საბჭოთა ხალხის ცხოვრებას, პარტიული ორგანიზაციების საქმიანობას.

16 აგვისტოს ინგლისელი ამხანაგები მიიღეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგესთან გ. ბედინეიშვილთან გამართულ საუბარში მონაწილეობდნენ დიდი ბრიტანეთის კომპარტიის აღმასკომის წევრები ჰენრი მაკლეკი, რიჩარდ მაილზი, პარტიის ვეტერანები ჯო ბერი — დელეგაციის ხელმძღვანელი, ეროლ ტრევეტი, ბეტი ტაილორი და დიდი ბრიტანეთის კომპარტიის სხვა მოღვაწენი.

საუბრის დროს დიდი ბრიტანეთის კომპარტიის წარმომადგენლებს გააცნეს პარტიული ორგანიზაციების პოლიტიკური, ორგანიზატორული და იდეოლოგიური მუშაობა, რომელიც მიზნად ისახავს სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებების, მის მიერ დასახული საბჭოთა საზოგადოების შემდგომი ეკონომიური, სოციალურ-პოლიტიკური და სულიერი განვითარების პროგრამის განხორციელებას.

დელეგაციის წევრებმა დასვეს მთელი რიგი კითხვები, რომლებზეც ამომწურავი პასუხი მიიღეს.

თავისი ამხანაგების სახელით ჯო ბერიმ მადლობა გადაიხადა საფუძვლიანი საუბრისათვის, როცა შინ დავბრუნდებით, თქვა მან, შევძლებთ თანამემამულეებს გავაცნოთ საბჭოთა ადამიანების მიერ მიღწეული წარმატებანი.

იმ დღეებში, როცა საბჭოთა კავშირი, განაგრძო ჯო ბერიმ, შეუდგა თავისი პირველი ხუთწლედის განხორციელებას, მისი გეგმები, განსაცვიფრებელი იყო. დარწმუნებული ვართ, რომ საბჭოთა ხალხი, რომელიც ახორციელებს მეცხრე ხუთწლედის მიერ დასახულ პროგრამას, კიდევ უფრო წინ წაიწევს პროგრესის გზით.

იმავე დღეს დიდი ბრიტანეთის კომპარტიის აქტივისტებმა დაათვალიერეს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენა, გაიცნეს თბილისი. (საქინფორმი).

16 აგვისტო
ტელეტაიპის ლენტიდან

კ. ვალდჰაიმის წერილი

ნიუ-იორკი, (საქდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა კ. ვალდჰაიმმა თურქეთის პრემიერ-მინისტრს ბ. ეჯევითს გაუგზავნა წერილი, რომელშიც წუხილს გამოთქვამს კვიპროსის ინციდენტებით გამოწვეული გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ძალების სამხედრო მოსამსახურეთა შორის დანაკარგების გამო. კ. ვალდჰაიმმა თურქეთს მოუწოდა სასწრაფოდ მიიღოს ზომები ამ სამხედრო მოსამსახურეთა უშიშროების უზრუნველსაყოფად.

საპასუხო წერილში ბ. ეჯევითმა გენერალურ მდივანს აღუთქვა, რომ განახორციელებს საჭირო ღონისძიებებს, რათა აღარ დაუშვას მსგავსი ინციდენტები.

დააწესეს კონტროლი

ადის-აბება, (საქდესი). ეთიოპიის შეიარაღებული ძალების საკოორდინაციო კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება უშუალო კონტროლი დაუწესოს მინისტრ პერის კანცელარიას, რომელიც საიმპერიო ბეჭდის მცველია. მისი კანცელარიის მეშვეობით აქამდე ვრცელდებოდა იმპერატორის ყველა ბრძანებულება და მიითითება სახელმწიფო აპარატის სხვადასხვა ორგანოებში.

კომიტეტის კომუნიკეში, რომელიც გაზეთმა „ადის ზემენმა" გამოაქვეყნა, აღნიშნულია, რომ ეს ღონისძიება განხორციელდა სახელმწიფო მართვის სისტემის მოწესრიგების მიზნით.

მატულობს უმუშევრობა

ბონი, 16 აგვისტო. (საქდესი). დასავლეთ გერმანიაში მატულობს უმუშევართა რიცხვი უმაღლესი განათლების მქონე პირებს შორის. მარტო მიუნხენის შრომის საკითხთა სამმართველოში ყოველთვიურად არეგისტრირებენ 1000-ზე მეტ უმაღლესი განათლების სპეციალისტს. განსაკუთრებით დიდი უმუშევრობაა ფილოლოგებს, სოციოლოგებს, იურისტებსა და ჟურნალისტებში.

საქდესი და უცხოეთის პრესის სააგენტოები იუწყებიან

ნატოს ნამდვილი სახე

პარიზი, 16 აგვისტო. (საქდესი). პასუხისმგებლობა კვიპროსში ახალი ძალით გაჩაღებული საომარი მოქმედებისათვის, რომელიც საშიშ მდგომარეობას ქმნის აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთში, მთლიანად ეკისრებათ ატლანტიკური კავშირის მესვეურებს, ხაზგასმით აღნიშნავს გაზეთი „ლუმანიტე", ნატოელი სტრატეგები, წერს გაზეთი, როდი მალავენ თავიანთ მიზანს, რომ სურთ კვიპროსი საკუთარ ბაზად გაიხადონ. ნატოს წრეებში აგრეთვე იმედი აქვთ, რომ ამ რაიონში შექმნილი დაძაბულობის პირობებში თუ საბერძნეთში ვერ აღადგინეს პოლკოვნიკთა ხელისუფლება, ყოველ შემთხვევაში, იმას მაინც შეძლებენ, რომ წინააღუდგნენ ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებას. ასეთი პოლიტიკის ვერაგობა, აღნიშნავს გაზეთი, სავსებით ამართლებს ათენის მთავრობის გადაწყვეტილებას ნატოს სამხედრო ორგანიზაციიდან გასვლის შესახებ.

კვიპროსის დრამის ფონზე ატლანტიკურმა კავშირმა დღეს გამოაჩინა თავისი ნამდვილი სახე, წერს დასასრულ „ლუმანიტე". იგი სულაც არ უზრუნველყოფს ეგრეთ წოდებული „თავისუფალი სამყაროს" უშიშროებას და ფაშისტურ სახელმწიფო გადატრიალებებს აწყობს. იგი სულაც არ არის მშვიდობის საწინდარი, და ახლა ცხადყოფს, რომ არ ძალუძს ნატოს წევრთა კონფლიქტის მოწესრიგება: ეს კავშირი საერთაშორისო რეაქციის ხელში დაძაბულობისა და ომის იარაღს წარმოადგენს.

ლონდონი, 15 აგვისტო. (საქდესი). გაზეთი „მორნინგ სტარი" წერს, რომ კვიპროსელები არსებითად ნატოს სამხედრო კავშირს ეწირებიან, რომელმაც გამოაჩინა თავისი ნამდვილი სახე არა როგორც ვითომდა დემოკრატიისა და თავისუფლებისათვის დასაცავად შექმნილმა ორგანიზაციამ, არამედ იმპერიალისტურ მძარცველთა ხროვამ, რომლებიც ისწრაფვიან გაბატონდნენ კვიპროსზე თავიანთი მზაკვრული მიზნების მისაღწევად.

ახლანდელი მომენტის უპირველესი მნიშვნელობის ამოცანაა, წერს „მორნინგ სტარი", უზრუნველყოფილ იქნეს კვიპროსში ცეცხლის შეწყვეტა, მთლიანად და დროულად შესრულდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს 20 ივლისის რეზოლუცია. ამ რეზოლუციით გათვალისწინებულია აღდგეს კონსტიტუციური მთავრობა კუნძულზე, პატივი სცენ კვიპროსის სუვერენიტეტს, დამოუკიდებლობას და ტერიტორიულ მთლიანობას.

მხოლოდ ასეთ საფუძველზე თუ აღდგება მშვიდობა და სტაბილურობა კვიპროსში და უზრუნველყოფილ იქნება ყველა მისი მოქალაქის, როგორც ბერძნების, ისე თურქების, მომავალი, დასძენს გაზეთი.

ბულგარეთი

სახალხო ხელისუფლების წლებში აშენდა ბულგარეთის საცხოვრებელი ფონდის უდიდესი ნაწილი. ამჟამად მოსახლეობის 60 პროცენტზე მეტი ახალ ბინებში ცხოვრობს. ყოველწლიურად ათასობით მშრომელი ნებაყოფლობით მონაწილეობს დასახლებული პუნქტების კეთილმოწყობასა და გამწვანებაში.

განახლებული ბულგარული სოფლები და ქალაქები სოციალისტურ მონაპოვართა მკაფიო მაგალითია. სურათზე: ქალაქი ვარნა — ბულგარეთის შავიზღვისპირეთის მარგალიტი.

„სოფია პრესის" სააგენტოს ფოტო.

უცხოეთის პრესის ფურცლებზე

„ფრანს ნუველი", პარიზი

რურის კომუნისტები

ფრანგულმა ჟურნალ-კვირეულმა „ფრანს ნუველმა" დაბეჭდა თავისი სპეციალური კორესპონდენტის ჟორჟ ჟირაბის სტატია კომუნისტთა საქმიანობის შესახებ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში. ახალი ამბების სააგენტო მკითხველებს სთავაზობს ამ სტატიას მცირეოდენი შემოკლებით.

იუპ ანგენფორტს, გერმანიის კომუნისტური პარტიის გამგეობის წევრს, ვესაუბრებოდი დიუსელდორფში გერმანიის კომუნისტური პარტიის ცკ-ის შენობაში. რატომ განლაგდა ცენტრალური კომიტეტი მაინცდამაინც დიუსელდორფში? ქალაქი მდებარეობს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის უდიდესი სამრეწველო რაიონის რურის საზღვართან, სადაც კაპიტალის კონცენტრაციის მაღალი დონეა და მრავალრიცხოვანი მუშათა კლასია.

ფედერაციული გერმანიის მუშათა უმრავლესობას კარგად ესმის, რომ მხოლოდ ერთობლივი მოქმედებით შეუძლიათ დაიცვან თავიანთი მონაპოვარი და მიაღწიონ ახალ გამარჯვებებს. ამას წინათ ფედერალური სტატისტიკური ბიურო იტყობინებოდა, რომ შარშან სახელმწიფოში 563 ათასი საგაფიცვო დღე იყო, ნაცვლად 1972 წლის 66 ათასისა.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა მდიდარი ქვეყანაა, მაგრამ იგი ადამიანთა ვიწრო წრისათვის არის განკუთვნილი. მთელი ოჯახების 0,75 პროცენტი ფლობს საწარმოთა აქციების 90 პროცენტს. ცხოვრება სახელმწიფოში ძვირდება. საშუალო გერმანელი დღენიადაგ იმის ფიქრშია, თუ როგორ გაართვას თავი გაჭირვებას. შარშან რვა მილიონმა კაცმა გადასახადი ვერ შეიტანა. სკოლის მოსწავლეთა ნახევარი არდადეგებს შინ ატარებს. დიდ ქალაქებში ძვირიანი სახლის დაქირავება მუშას არ შეუძლია. მაგრამ ყველაზე მეტად მოსახლეობის შეშფოთებას იწვევს უმუშევრობის ზრდა. მაისის ბოლოსათვის უმუშევართა რიცხვმა 550 ათასს მიაღწია. მათ უნდა დაემატოს 300 ათასი „გასტარბაიტერი", რომლებსაც წელს კონტრაქტები არ გაუგრძელეს. მრეწველობის ბევრ დარგში შეამცირეს სამუშაო საათები.

შარშან ნოემბერში ჰამბურგში გამართულმა გერმანიის კომპარტიის ყრილობამ ანალიზი გაუკეთა სახელმწიფოში შექმნილ მდგომარეობას. ყრილობის რეზოლუციაში აღნიშნული იყო, რომ აუცილებელია ბრძოლის გაძლიერება სოციალურ ფრონტზე და პარტიის კავშირის განმტკიცება ხალხის მასებთან. ეს კი, კერძოდ ნიშნავს მუშათა გააქტიურებას პროფკავშირებში და მოსახლეობაში უშუალოდ საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. გერმანიის კომპარტიის წევრები არცთუ იშვიათად თვითონ ხელმძღვანელობენ პროფკავშირულ ჯგუფებს.

ტროისდორფში (ადგილი ბონის მიდამოებში) მდებარეობს საწარმო „დინამიტ ნობელი", რომელიც შედის ფლიკის, ნიურნბერგის ტრიბუნალის მიერ გასამართლებული სამხედრო დამნაშავის საწარმოთა ჯგუფში. ქარხანაში, რომელიც ქიმიურ ნივთიერებებს ამზადებს, შვიდი ათასი კაცი მუშაობს. ადმინისტრაცია არ ზრუნავდა უშიშროების ტექნიკაზე, რის შედეგადაც მრავალი უბედური შემთხვევა მოხდა. მოწამვლისაგან, მაგალითად, დაიღუპა ხუთი, ხოლო დაავადდა ათობით მუშა. კომპარტიის პრესის წყალობით ტროისდორფში მომხდარი ტრაგიკული შემთხვევა ფართო საზოგადოებისათვის ცნობილი გახდა. კომუნისტები სათავეში ჩაუდგნენ მუშათა ბრძოლას შრომის დაცვის გაუმჯობესებისათვის. ქარხნების მფლობელები იძულებული გახდნენ დაეკმაყოფილებინათ მათი მოთხოვნები.

მეწარმეები მშრომლებს ექსპლოატაციას უწევენ არა მარტო რურის ქარხნებსა და შახტებში, არამედ საწარმოთა კედლებს გარეთაც. რურის სამთამადნო საზოგადოება, მაგალითად, ფლობს 200 ათას ბინას. მათი უმრავლესობა აგებულია ამ საუკუნის დასაწყისში. მიუხედავად ამისა სახლების პატრონები ბინის ქირას გამუდმებით ზრდიან. დამქირავებლებმა სასამართლო სარჩელი შეიტანეს. კომუნისტებმა სერიოზული მუშაობა გასწიეს ეგენის საზოგადოებრიობაში, რამაც გავლენა იქონია ადგილობრივი სასამართლოს გადაწყვეტილებაზე და ბინის ქირის ზრდა არაკანონიერად ცნეს.

ვოლფერ როდე 31 წლისაა. გერმანიის კომუნისტურ პარტიაში შევიდა 1971 წელს. ახლა იგი ხელმძღვანელობს ბონის ორგანიზაციას. მისი მეუღლე — პარტიის საოლქო ხელმძღვანელობის წევრი, მასწავლებელთა პროფკავშირში მუშაობს. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის დედაქალაქში პოლიტიკურად აქტიური მოსახლეობის თითქმის ნახევარს სტუდენტები შეადგენენ. ამიტომ პარტიის გავლენა აქ დიდად არის დამოკიდებული მათს მხარდაჭერაზე. პარტიის გაძლიერება მის რიგებში სტუდენტთა მიზიდვის ხარჯზე ვოლფერის მთავარი საზრუნავია.

მარბურგი. სტილიზებული სახლები, მიხვეულ-მოხვეული ქუჩები, ძველი ციხე-სიმაგრეებისაკენ რომ მიემართებიან, ტურიზმის ეს ცენტრი განუყოფელია ამჟამად გფრ-ის პოლიტიკური ცხოვრებისაგან. დასავლეთ გერმანიის ბურჟუაზია მარბურგს დღეს „წითელ მარბურგს" უწოდებს. მუნიციპალურ საბჭოში არჩეულია ორი კომუნისტი. მოელიან, რომ მომავალ არჩევნებში კომპარტია კიდევ უფრო თვალსაჩინო წარმატებას მოიპოვებს. და ეს ხდება 50-ათას კაციან ქალაქში, რომელთა შორის 13 ათასი სტუდენტია. ადგილობრივი უნივერსიტეტის სტუდენტები აქტიურად მონაწილეობენ პოლიტიკურ ცხოვრებაში, უნივერსიტეტში პარტიის ცხრა უჯრედია, გარდა ახალგაზრდულ ორგანიზაცია „სპარტაკისა".

ჩემი თანამოსაუბრე ახალგაზრდა ქალი სადოქტორო დისერტაციაზე მუშაობს. იგი კომპარტიის წევრია. მან იცის, რომ რისკს ეწევა და შეიძლება დაცვის შემდეგ თავისი პოლიტიკური შეხედულებებისათვის უმუშევრად დარჩეს. კომუნისტები შეიძლება დღეს პორტუგალიის მთავრობის წევრები იყვნენ, მაგრამ ვერ იქნებიან მასწავლებლები გერმანიის ფედერალურ რესპუბლიკაში.

მიუხედავად ამისა გერმანიის კომპარტიის წევრთა რიგები იზრდება და ყველაზე სასიხარულო ის არის, რომ პარტია შევსებას იღებს ახალგაზრდობიდან.

სიჩუმის კედელი, რომლითაც დიდი ხნის განმავლობაში დასავლეთ გერმანიაში ხელოვნურად იყო შემოფარგლული კომუნისტთა საქმიანობა, ინგრევა. ფედერაციული გერმანიის მცხოვრებთა სულ უფრო მეტი რაოდენობა ეცნობა კომუნისტთა ამოცანებს. მარქსისტული იდეების შემდგომი პროპაგანდა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ახლა გერმანიის კომპარტიის მთავარი ამოცანაა.

საერთაშორისო კომენტარი

დაძაბულობის შენელება დროის მოთხოვნაა

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის შეცვლა, რა თქმა უნდა, ამერიკელთა წმინდა შინაური საქმეა და მაინც რ. ნიქსონის ვადამდელი გადადგომისა და სახელმწიფოს მეთაურის პოსტზე ჯ. ფორდის დანიშვნის შემდეგ მთელი საერთაშორისო საზოგადოებრიობა ყურადღებით ადევნებს თვალს ახლანდელ ვითარებას ვაშინგტონში და ახალი პრეზიდენტის პირველ საგარეო-პოლიტიკურ განცხადებებს, უპირველეს ყოვლისა, მის გამონათქვამებს საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის პერსპექტივების შესახებ. ასეთი ინტერესი სავსებით კანონზომიერია, ვინაიდან, როგორც დამაჯერებლად ცხადყოფს ომისშემდგომმა ათწლეულებმა, სსრ კავშირ-ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობის მდგომარეობაზე უდიდესწილადაა დამოკიდებული მთელი მსოფლიოს პოლიტიკური ვითარება.

ორივე მხარის გაერთიანებული მეცადინეობის წყალობით არსებითად შემცირდა ომის საფრთხე, აგრეთვე საგრძნობლად გაფართოვდა ორი ქვეყნის ურთიერთხელსაყრელი მეცნიერულ-ტექნიკური, სავაჭრო-ეკონომიური და კულტურული თანამშრომლობა. უდავოა, რომ მოვლენათა ასეთი განვითარება შეესაბამება როგორც საბჭოთა და ამერიკელი ხალხების, ისე პლანეტის ყველა სხვა ხალხთა ყველაზე საარსებო ინტერესებს.

რაც შეეხება საბჭოთა კავშირს, მისი პოლიტიკა შეერთებული შტატების მიმართ როდია დაკავშირებული რამე დროებით ფაქტორებთან, მას განსაზღვრავენ სკკპ XXIV ყრილობაზე მოწონებულ მშვიდობის პროგრამაში ხორცშესხმული ლენინური პრინციპები, რომლებიც განუხრელად სრულდება. „ჩვენ გვინდა, — ხაზგასმით აღნიშნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა 14 ივნისს ამომრჩევლებთან შეხვედრაზე წარმოთქმულ სიტყვაში, — რომ საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობა ნამდვილად სტაბილური გახდეს, დამოკიდებული არ იყოს კონიუნქტურულ მომენტებზე. ჩვენ იმის მომხრენი ვართ, რომ ამ ურთიერთობის შემდგომმა განვითარებამ სარგებლობა მოუტანოს ორივე ჩვენს ქვეყანასაც და მთელ მსოფლიოსაც".

კმაყოფილებით შეხვდნენ მთელ მსოფლიოში ჯ. ფორდის, შეერთებული შტატების კონგრესის, პოლიტიკური და საქმიანი წრეების წარმომადგენელთა განცხადებებს, რომ განზრახული აქვთ კვლავაც შეუწყონ ხელი საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას, სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობის პოზიტიურ განვითარებას.

სენატისა და წარმომადგენელთა პალატის გაერთიანებულ სხდომაზე გამოსვლისას ამერიკის შეერთებული შტატების ახალმა პრეზიდენტმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო საბჭოთა კავშირისა და შეერთებული შტატების ურთიერთობას. „მე, — თქვა მან, — საქვეყნოდ აღვუთქვამ საბჭოთა კავშირს თანამიმდევრობას იმაში, რაც შეეხება ჩვენს ერთგულებას უკანასკნელი სამი წლის მანძილზე აღებული კურსისადმი... თერმობირთვულ საუკუნეში ხომ არ შეიძლება რამე ალტერნატივა ჰქონდეს ჩვენი ქვეყნების პოზიტიურ და მშვიდობიან ურთიერთობას".

ერთი სიტყვით, ყველაფერი მოწმობს, რომ დაძაბულობის შენელების მოწინააღმდეგეებს, რომლებიც ჯერ კიდევ არიან ოკეანის გაღმა, ტყუილად ჰქონიათ იმედი, რომ პრეზიდენტის შეცვლა ეჭვქვეშ დააყენებდა წარმატებებს, რომლებსაც მიაღწიეს საერთაშორისო დაძაბულობის შენელების საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის გაუმჯობესების საქმეში. (საქდესი).

წყალდიდობა ბანგლადეშში

ბანგლადეშის რესპუბლიკაში გრძელდება ძლიერი წყალდიდობა, რომელმაც მოიცვა დაახლოებით 10 ათასი კვადრატული მილი ტერიტორია. განსაკუთრებით დიდი ზარალი მოუტანა ჩრდილო-აღმოსავლეთ რაიონებს, სადაც დაიღუპა მარცვლეულის ნათესების 80 პროცენტი, უმთავრესად ბრინჯი, დაინგრა ათეულ ათასობით საცხოვრებელი ნაგებობა. არის მსხვერპლი.

სტიქიურმა უბედურებამ მოიცვა აგრეთვე დაკას რაიონი და მისი სამრეწველო გარეუბანი ნარაიანგანჯი.

სურათზე: წყლით დატბორილ სოფელში.

ამბები · ფაქტები

ეროვნული ბიბლიოთეკა

შრომა და კაპიტალი

საგაფიცვო ბრძოლის ახალი აღმავლობით აღინიშნა მიმდინარე კვირა კაპიტალის ქვეყნებში. მშრომელთა შეკავშირების მეოხებით მეწარმენი ხშირად იძულებული არიან დაუთმონ გაფიცულებს.

დამაჯერებელი გამარჯვებით დამთავრდა კოლუმბიის ქალაქ კალის სინთეზური ბოჭკოს ფაბრიკა „სელანესეს" მუშათა და მოსამსახურეთა გაფიცვა, რომელიც სამ კვირას გრძელდებოდა. თავიანთი უფლებებისათვის მშრომელთა გააფთრებული ბრძოლის შედეგად ამ საწარმოს ადმინისტრაცია, რომელიც ამერიკულ კაპიტალს ეკუთვნის, იძულებული იყო დაეკმაყოფილებინა გაფიცულთა მოთხოვნები ხელფასის მომატების, შრომის პირობების გაუმჯობესების, სამედიცინო მომსახურების, სოციალური დაზღვევის შესახებ.

1974 წლის პირველი ხუთი თვის მანძილზე ავსტრალიაში რეგისტრირებულია 1243 გაფიცვა და შრომითი კონფლიქტი. ამ გაფიცვებსა და კონფლიქტებში მონაწილეობდა ქვეყნის 1.013.500 მუშა და მოსამსახურე. ეს მონაცემები გამოაქვეყნა ავსტრალიის აღწერისა და სტატისტიკის ბიურომ. პრესა ამასთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ საგაფიცვო მოძრაობის ასეთი აღმავლობა 1929 წლიდან არ ყოფილა.

წარმატებით დამთავრდა რომის ოპერის თეატრის კოლექტივის ხუთი დღის გაფიცვა. მთავრობა მას შეპირდა, კერძოდ, რომ თეატრს გამოუყოფს დამატებით ასიგნებებს და ხელს აიღებს შტატების გათვალისწინებულ შემცირებაზე.

ლონდონის ჩრდილო-დასავლეთ რაიონში „როლს-როის მოტორსის" კომპანიის ორი საავტომობილო ქარხნის 400-ზე მეტმა მუშამ გაფიცვა გამოაცხადა. ისინი მოითხოვენ შრომის პირობების გაუმჯობესებას. გაფიცულებმა პიკეტები დააყენეს საწარმოთა შესასვლელებთან, აგრეთვე კომპანიის ადმინისტრაციული შენობის წინ.

შემთხვევები

აფეთქება გაზეთის შენობაში

დარ-ეს-სალამი, 15 აგვისტო. (საქდესი). როგორც ლორენსუ-მარკიშიდან იუწყებიან, ამ დილით იქ გაზეთ „ნოტისიაშის" სტამბის შენობაში აფეთქდა ბომბი, რომელიც, როგორც მიაჩნიათ, მემარჯვენე ექსტრემისტთა ელემენტებმა ჩადეს. აფეთქების შედეგად დაზიანდა საბეჭდი მანქანების ნაწილი, აგრეთვე თვით შენობა.

გაზეთი „ნოტისიაშის" ფურცლებზე არაერთგზის დაბეჭდილა სტატიები და წერილები, რომლებშიც მიესალმებოდნენ მოზამბიკის დეკოლონიზაციის დაწყებულ პროცესს და სიმპატიით იხსენიებდნენ მოზამბიკის განთავისუფლების ფრონტს.

გადაიჩეხა...

ჯაკარტა, 16 აგვისტო. (საქდესი). დიდი კატასტროფა მოხდა ცენტრალურ იავაზე, ინდონეზიის ქალაქ ვონოსობოს მახლობლად მთის გზაზე. მგზავრებით გაჭედილი ავტობუსი მოსახვევში მოცურდა და მანქანა გადაიჩეხა ღრმა ხევში. დაიღუპა 21 კაცი.

მძლავრი ციკლონი

კარაკასი, 16 აგვისტო. (საქდესი). ვენესუელის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროს გასწვრივ მოძრაობს მძლავრი ციკლონი, რომელიც კარიბის ზღვაში წარმოიშვა. ქარმა, რომლის სიჩქარე საათში 100 კილომეტრს აღემატება, დაანგრია მრავალი სახლი ქალაქებში კუმანაში, კარუპანოში, ბარსელონასა და გუირიაში. ორი კვირის განუწყვეტელმა კოკისპირულმა წვიმებმა კარაკასში გამოიწვიეს მეწყერი და ზვავი. შენობების ნანგრევებში დაიღუპა ორი კაცი. ფედერალურმა ხელისუფლებამ ვენესუელის დედაქალაქის რამდენიმე რაიონი სტიქიური უბედურების ზონად გამოაცხადა. ქალაქში მოუწყო დაზარალებულთა უსაფრთხო ადგილებში გახიზვნა. ხუთი ათასი კაცი, რომლებმაც დაკარგეს საცხოვრებელი წყალდიდობის შედეგად, დროებით დააბინავეს სტადიონზე, აგრეთვე ლიცეუმებში, რომელთა მოსწავლეები ახლა არდადეგებზე არიან.

ძლიერი ქარის გამო გუშინ დაშვების დროს დაიმსხვრა ადგილობრივი ავიაკომპანია „ლინეა აეროპოსტალ ვენესოლანას" თვითმფრინავი, რომელიც კარაკასიდან კუნძულ-კურორტ მარგარიტაში მიდიოდა. დაიღუპა 44 მგზავრი და ეკიპაჟის ხუთი წევრი. ხელისუფლებამ დროებით აუკრძალა სარეწ და სხვა გემებს ზღვაში გასვლა.

წილში ვერ გაძვრნენ

ფელეტონი

აი ძველი ქართული არაკი. კავკასიის მთებში მაღლა ცხოვრობდა ხელმარჯვე გლეხი მიხო, რომელსაც ეძახდნენ ჩხირკედელას, რაც დაახლოებით ნიშნავს: „ხელები არ მოასვენო". იგი მთელ გარემოში განთქმული იყო როგორც სიახლის დაუცხრომელი მძებნელი და გამომგონებელი.

ერთხელ მიხო ყურადღებით აკვირდებოდა მეზობლის ძროხას, თეკლეს, რომელიც ბალახს წიწკნიდა. უეცრად მიხოს დაებადა აზრი: „რა იქნება, მექანიკური ძროხა რომ გავაკეთო!"

გადმოცემა ამბობს, რომ მან ცხრა დღესა და ათ ღამეში თიხისაგან გამოძერწა წაბლა ძროხა. პირის ნაცვლად მოუწყო საღეჭი აპარატი, სადაც დაუწყო ბალახის ჩიდება, მუცელში წყალი ჩაასხა და რძის აგრეგატი შესანიშნავად ამუშავდა.

იხმო მეზობლები, რომ ენახათ ეს საკვირველება. ისინი აღტაცებულნი დარჩნენ.

— აი ყოჩაღ, მიხო!

— მიირთვით, გთხოვთ, ძვირფასო მეზობლებო, მიირთვით!

ისინი მეორე დღესაც მოვიდნენ, უკვე დაუპატიჟებლად და თვითეულმა თან უზარმაზარი ქოთანი მოიტანა. რძით გული რომ იჯერეს, აავსეს თავიანთი ჭურჭელი: ამას შინაურებს წავუღებთო.

— მიირთვით, მიირთვით, შეგერგოთ! — გულთბილად ეუბნებოდა მათ მიხო.

მესამე დღეს ისინი კვლავ მოვიდნენ, უკვე თავიანთი შვილებით. მეოთხე დღეს შვილიშვილებიანად ესტუმრნენ...

მიხო დაუღალავად შრომობდა, გაუძლომელ აგრეგატს მექანიკურ პირში ახალ-ახალი პორციობით სტენიდა ბალახს. მუქთა რძის მოყვარულთა რიგები დღითიდღე მრავლდებოდა. მიხომ სცადა მორცხვი პროტესტი განეცხადებინა. მათ კი ასე უთხრეს:

— არა გრცხვენია, ჩვენ ხომ პირველებმა ვსვით რძე და დიდად შევაქეთ შენი გამოგონება.

ბოლოს, მოთმინება რომ დაკარგა, მიხომ აიღო ხელნა და წვრილ ნამსხვრევებად აქცია თავისი მექანიკური ძროხა.

ეს არაკი აი რამ გაგვახსენა. ამას წინათ, გაზეთებიდან რომ შევიტყვეთ, სახელმწიფო პრემიის მოსაპოვებლად წარდგენილია ნაშრომი „საშუალო და დიდი დიამეტრების ბეტონის მილების მასობრივი წარმოების ინდუსტრიული ტექნოლოგიის შემუშავება და ორგანიზაცია და სახალხო მეურნეობაში დანერგვაო", ავტორთა შემადგენლობაში თორმეტი კაცი დავითვალეთ...

იყო სამი მეგობარი-ინჟინერი. მათ ერქვათ შოთა ლომიძე, ზურაბ ჯაფარიძე და ოთარ კვიცარიძე. ისინი წარმოების შესანიშნავი მუშაკები, თავიანთი საშენებლო საქმის მცოდნეები, მძიებელი გამომგონებლები იყვნენ. ერთხელ, ბეტონის მილების დამზადების ფრიად ხანგრძლივსა და ძვირად ღირებულ პროცედურას რომ აკვირდებოდნენ, მათ შესძახეს:

— ხომ არ შეიძლება შევქმნას ისეთი თვითმავალი აგრეგატი, რომელიც დაამზადებდა სხვადასხვა დიამეტრის მილებს ვიბროწნეხვის მეთოდით და დაუყოვნებლივ განყალიბებით?

თქვეს და გააკეთეს კიდეც. მალე მეგობრებმა მიიღეს გამოგონების საავტორო უფლებანი. მრავალი წლის სიცოცხლე მოანდომეს ამას, სანამ ეს სასწაული-მანქანა ამუშავდებოდა. მათ ნამდვილი თანაშემწენიც გამოუჩნდნენ, ისეთები, როგორიც გ. ელიოზიშვილი — რუსთავის რკინაბეტონის ნაკეთობათა კომბინატის მთავარი კონსტრუქტორი და ჟ. მამალაძე — მთავარი მექანიკოსი, რ. აპრელიანი — რუსთავის სავაზო მანქანების სარემონტო ქარხნის დირექტორი და ზოგიერთი სხვა... გამომგონებელთა წინადადებას მხარი დაუჭირეს სსრ კავშირის მშენებლობის სამინისტროს ტექნიკურმა საბჭომ, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამშენებლო მექანიკისა და სეისმომედეგობის ინსტიტუტმა, სსრ კავშირის სამშენის ბეტონისა და რკინაბეტონის სამეცნიერო-საკვლევმა ინსტიტუტმა.

ახლა რუსთავში მთავრდება ამ მილების გამოშვებისათვის სპეციალიზებული ქარხნის მშენებლობა, რომლის სიმძლავრე წელიწადში 40 ათასი კუბური მეტრი მილები იქნება. ასეთი აგრეგატები უკვე მუშაობს ბაქოში, თბილისში, კიშინიოვში. დამზადებულია 330 ათასი გრძივი მეტრი მილები. ამრიგად, უაღრესად მოკრძალებული გაანგარიშებით, დაზოგილია 15 ათას ტონამდე მარტო საარმატურე ფოლადი.

და აი დაარხა ამბავი: ამ უკვიანი მანქანების გამომგონებლებს სახელმწიფო პრემიაზე წარადგენენ. და მაშინ ერთიმეორის მოყოლებით გამოჩნდნენ გამომგონებლები... ქოთნებით, ესე იგი პრეტენზიებით სასწაულ-აგრეგატის შექმნაში თავიანთი მონაწილეობის შესახებ.

— მეც მეკუთვნის პრემია, — თქვა საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრის მოადგილემ ვლას მანჯგალაძემ. — მე ხომ მაშინ „ამიერკავკასიის მეტალურგმშენის" № 1 ტრესტის მთავარ ინჟინრად ვმუშაობდი, პირადად ვიღებდი მონაწილეობას მილის ქარხნის პროექტის მექანიკური ნაწილის შემუშავებაში.

— მეც მერგება პრემია, — წამოიძახა თბილისის საქალაქო საბჭოს ტრესტ „თბილმშენის" ყოფილმა მმართველმა, ამჟამად „ამიერკავკასიის „მეტალურგმშენის" № 1 ტრესტის მმართველმა კარლო გოგიჩაიშვილმა. — ხომ მე წამოვაყენე წინადადება, რომ მილებისათვის ბეტონი ადგილობრივი მასალისაგან დამზადებულიყო.

— მეც მეკუთვნის პრემია, — ჩაყვირდა სპეცმშენის ტრესტის მმართველი ვლადიმერ ჩახავა, — აბა როგორ, ხომ მე ვუწყობ ხელს ბეტონის მილების დამამზადებელი ქარხნის მშენებლობას.

— მეც პრემია...

— მეც...

საბოლოოდ განაწყენებულმა ავტორებმა პრემიების კომიტეტში გაგზავნეს ეპისტოლე, რომლის დედააზრი შემდეგია: წარმოდგენილ ნაშრომში ვ. მანჯგალაძის, ვ. ჩახავას, გ. გოგიჩაიშვილის მონაწილეობა მხოლოდ იმით განისაზღვრებოდა, რომ ისინი ხელმძღვანელობდნენ, სამსახურებრივი მოვალეობის გამო, ბეტონის მილების დამამზადებელ საწარმოს მშენებლობას და... ჩაწყობას ტრანშეაში მათს საქვეუწყებო მშენებლობებში, და ამიტომ ისინი გამორიცხულ უნდა იქნან კანდიდატთა სიიდან". ერთ-ერთმა ავტორმა — ზ. ჯაფარიძემ, აიღო ხელნა, ესე იგი კალმისტარი, და დაწერა: — „ეს მართალია, რომ მე თანაავტორებთან ერთად 1965 წლიდან ვმუშაობდი ამ მანქანის შექმნაზე, მაგრამ ვინაიდან ამ საკითხზე უფრო ეფექტურად და ენერგიულად მუშაობდნენ თემის სხვა მონაწილენი, გთხოვთ ჩემი კანდიდატურა სიიდან სრულებით გამორიცხოთ".

როგორ არ გავიხსენოთ ყოველივე ამის შემდეგ ძველი არაკის გმირი — მიხო!

გ. ლებანიძე.

ქ. თბილისი.

(„პრავდა", 14 VIII)

სსრ კავშირის მწერალთა პირველი ყრილობის გახსნის 40 წლისთავი

> ...სიამაყისა და სიხარულის გრძნობით ვხსნი მსოფლიო ისტორიაში პირველ, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ლიტერატორთა ყრილობას... ჩვენი ეს ყრილობა უნდა იყოს არა მარტო საანგარიშო მოხსენება მკითხველთა წინაშე, არამედ მან უნდა იკისროს ლიტერატურის ორგანიზაცია.... პროლეტარიატის სახელმწიფომ ათასობით უნდა აღზარდოს საუკეთესო „კულტურის ოსტატები", ადამიანის „სულის ინჟინრები".
>
> **მაქსიმ გორკი.**

მწერალთა პირველი ყრილობა

ირაკლი აბაშიძე

პოეტი-აკადემიკოსი

სწორედ ორმოცი წლის წინათ, 1934 წლის 17 აგვისტოს მოსკოვში, კავშირთა სახლის სვეტებიან დარბაზში გაიხსნა საბჭოთა კავშირის მწერალთა პირველი ყრილობა. ამ ყრილობის მნიშვნელობასა და შედეგებზე განვლილი ოთხი ათეული წლის მანძილზე ბევრი დაწერილა და ალბათ კვლავაც ბევრი დაიწერება; ეს ყრილობა იყო ჭეშმარიტად უდიდესი მნიშვნელობის მოვლენა, არა მარტო საბჭოთა მწერლობისა და საერთოდ, შემოქმედებითი ინტელიგენციის, არამედ მთელი ჩვენი დიდი ქვეყნის ხალხთა სულიერ ცხოვრებაში. უფრო მეტიც; როგორც ამ ყრილობის მაღალი ტრიბუნიდან კარგად თქვა გამოჩენილმა რუსმა ბელეტრისტმა კონსტანტინე ფედინმა, „ეს არის არა მარტო საბჭოთა მწერლების, არამედ მთელი საბჭოთა ერების ყრილობა". და ეს მართალიც იყო, რამდენადაც ეს ყრილობა უპირველესად ხალხთა ძმობის ჭეშმარიტ დემონსტრაციად მოევლინა.

დღესდღეობით ჩვენს პლანეტაზე მრავალი საერთაშორისო სამწერლო ორგანიზაცია არსებობს დასავლეთშიც და აღმოსავლეთშიც, მაგრამ ორგანიზაცია, რომელიც ამ ყრილობაზე შეიქმნა — სსრკ მწერალთა კავშირი, პირველი ერთიანი, პირველი მრავალეროვანი, პირველი მრავალენოვანი ორგანიზაცია იყო მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში და მისი გამოცდილება შემდგომში დიდად გამოადგა ყველა საერთაშორისო ორგანიზაციას.

საბჭოთა მწერლებმა ამ ყრილობაზე განაცხადეს თავისი ერთიანობის შესახებ და ეს ერთიანობა პირველ ყოვლისა გამოიხატა საერთო იდეური პლატფორმის აღიარებაში; საბჭოთა ლიტერატურის მთავარ თემად თანამედროვეობის, საბჭოთა სინამდვილის აღიარებაში; საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების ძირითად შემოქმედებით მეთოდად სოციალისტური რეალიზმის მეთოდის აღიარებაში.

მაშინ, ყველაზე ახალგაზრდა დელეგატი მე ვიყავი სსრკ მწერალთა პირველ ყრილობაზე; თუმცა უნდა ითქვას, საერთოდ, ახალგაზრდობა შეადგენდა ამ ყრილობის მონაწილეთა უმრავლესობას; რევოლუციის მიერ ლიტერატურაში გაწვეული ახალგაზრდობა, რომლებიც იმხანად ისე სახელმოხვეჭილნი იყვნენ მთელ საბჭოთა კავშირში, რომ მათ უკვე ახალგაზრდებად არავინ თვლიდა. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ყრილობას მათ მისცეს ტონი, დიდი საბჭოთა მწერლის მაქსიმ გორკის მეთაურობით. ალექსანდრე ფადეევი, მიხეილ შოლოხოვი, ლეონიდ ლეონოვი, ნიკოლოზ ტიხონოვი, ლეონიდ სობოლევი, ალექსი სურკოვი, მიკოლა ბაჟანი, ეღიშე ჩარენცი, გინდაც ჩვენი ქართველების უმეტესობა, განა მაშინ ახალგაზრდები არ იყვნენ?.. ყრილობაზე ტრიალებდა მართლაც ახალგაზრდული სული. ხანდაზმულებიც: ალექსეი ტოლსტოი, სერაფიმოვიჩი, ნოვიკოვ-პრიბოი, ტრენევი, გლადკოვი, შალვა დადიანი, სულეიმან სტალსკი, შირვან ზადე და სხვები. ამ ატმოსფეროში თითქოს გაახალგაზრდავებულნი ჩანდნენ. ალბათ ამიტომაც მაქსიმ გორკიმ ყრილობაზე განაცხადა: „ჩვენ ყველანი აქ, მიუხედავად მკვეთრი ასაკობრივი განსხვავებისა — შვილები ვართ ერთი და იგივე ძალიან ახალგაზრდა დედისა — ჩვენი ქვეყნის საბჭოთა ლიტერატურისა", ხოლო პარიზის კომუნის მონაწილემ, ყრილობის საპატიო სტუმარმა გუსტავ ინარმა თქვა: „მიუხედავად ჩემი ასაკისა — მე ახლა 88 წლისა ვარ, მიუხედავად სისუსტისა, მე დღეს გულით მტკიცე ახალგაზრდა ვარ".

ახლა ხელში მიჭირავს ყრილობის დღეებში გადაღებული ჩვენი, ქართველ მწერალთა დელეგაციის ჯგუფური სურათი. ორმოცმა წელმა ამ ჯგუფურ სურათს ბევრის, ძალიან ბევრის სახე გამოაკლო და ჩამოგვაშორა. დიახ, ორმოცი წელი მართლაც დიდი მანძილია, შიგ ცხოვრებისეული დრამატიზმიც რომ არ ერიოს. და რა სასიხარულოა, როცა დღესაც ისევ ხვდები ხოლმე ამ ყრილობის მონაწილეს ჩვენში და მით უფრო უცხოეთში.

ამ რამდენიმე თვის წინათ თურქეთში, ანკარაში ვინახულე ჩვენი პირველი ყრილობის მონაწილე სტუმარი, სახელგანთქმული თურქი რომანისტი იაკუბ კადრი, იგი ახლა 85 წლისაა, ცოტა, რასაკვირველია, მეხსიერება ღალატობს, მაგრამ უდიდესი სიამოვნებით გავიხსენეთ ოთხი ათეული წლის წინანდელი ამბები, ყრილობის დღეები, ყრილობის ბევრი მონაწილე. იაკუბ კადრი მეტად საინტერესო სიტყვით გამოვიდა ყრილობაზე. იგი ახლა ამ მოგონებებმა უცებ გამოაცოცხლა, მან თავის სამუშაო კაბინეტში შემიყვანა და მიჩვენა კედელზე მოწიწებით დაკიდებული სურათი, ეს იყო მაქსიმ გორკი. „იაკუბ კადრის მეტად სასიამოვნო შეხვედრის აღსანიშნავად. მ. გორკი. 1934 წელი". მოხუცმა ბელეტრისტმა ვეღარ გაიხსენა, რა პირობებში უძღვნა მას ეს სურათი ალექსი მაქსიმეს-ძემ. იქნებ თავისსავე ბინაზე?

ძნელი გასარკვევი იყო, 17 აგვისტოს დილით „კავშირთა სახლთან" რომელი დელეგატი ადრე გამოცხადდა ყრილობაზე. „კავშირთა სახლის" წინ უამრავი ხალხი ირეოდა და შესასვლელამდე ბრძოლით ვიკაფავდით გზას.

აგვისტოში მოსკოვში მაშინ ნაკლებად ცხელოდა, ვიდრე ახლა. ქალაქში ჯერ კიდევ არ იდგა ეს დიდი შენობები, დღეს რომ მცხუნვარე მზეში კიდევ უფრო ახურებენ ქალაქს. სასტუმრო „მოსკვა" ხარაჩოებში იყო, მეხუთე თუ მეექვსე სართული შენდებოდა, ხოლო სსრკ მინისტრთა საბჭოს დღევანდელი უზარმაზარი შენობის ადგილი ჯერ კიდევ მხოლოდ ფიცრებით იყო შემორაგული. „კავშირთა სახლი" ამ არემარეში ერთი ყველაზე დიდი შენობათაგანი ჩანდა.

„კავშირთა სახლის" მოედანი ყოველ დილას დიდ მიტინგს მოგაგონებდათ.

ეს გარეთ... „კავშირთა სახლთან".

ახლა შიგ, „კავშირთა სახლში":

აქ კი მე ახლა ჩემი არქივიდან ამოვიღებ საბედნიეროდ შენახულ, დღეს უკვე გაყვითლებულ ქართულ ახალგაზრდულ გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტს". 1934 წლის აგვისტო, მესამე გვერდზე მთელი სარდაფი უჭირავს ჩემს წერილს: „სსრკ საბჭოთა მწერლების ყრილობა", „ყრილობის დარბაზიდან".

მახსოვს ეს წერილი, ახალგაზრდა კაცის გულუბრყვილო, ცოცხალი შთაბეჭდილებები, უკვე მეორე დღესვე, 18 აგვისტოს ჩავუშვი საფოსტო ყუთში მოსკოვში, იქვე „კავშირთა სახლთან". აქ აღწერილია ყრილობის პირველი დღე. მე აქ ამ წერილს შემოკლებით გადმოვიწერ: პირველი დღე საბჭოეთის მწერალთა პირველი ყრილობისა:

...„ეს ნამდვილი დიდი დღესასწაულია და არა მარტო ლიტერატორთა დღესასწაული.

დარბაზი კრიალებს, ბრწყინავს პროჟექტორების სინათლეზე. ფოტორეპორტიორები კალიებივით დახტიან, — ეს რა ბედნიერება ეღირსათ! ამდენი სახელგანთქმული მწერალი, შინაური და უცხოელი ერთად, ერთ დარბაზში!

მართლაც მეტად სასიამოვნო შესახედავია საბჭოეთის მრავალეროვან ლიტერატორთა თავყრილობა. ისინი ერთმანეთისაგან ჩაცმულობითაც კი განსხვავდებიან; ბევრი მათგანი თავის ეროვნულ კოსტუმშია გამოწყობილი, რომ თითქოს ამ უბრალო ფაქტითაც კი იქნას გამოხატული ნაციონალური ფორმა ინტერნაციონალური შინაარსისა. აი ჩვენებური ჩოხაც, — მუდამ მხიარული, მომღიმარი მოხუცი, ნაცრისფერ ჩოხაში, თითქოს უსიტყვოდ აცნობს თავის თავს ყველას: „ქართველი საბჭოთა მწერალი, დელეგაციის უხუცესი წევრი, შალვა დადიანი". (დღევანდელი მინაწერი: მოხუცი, „უხუცესი წევრი" — ასე მეჩვენებოდა მაშინ მე შალვა დადიანი, თუმცა იგი მაშინ სულ 58 წლისა იყო). შალვა დადიანს, მშვენიერ ქართველ ინტელიგენტს, საგანგებოდ ჩაუცვამს დღეს ნაცრისფერი ჩოხა.

დელეგატები „სვეტებიან დარბაზში" ერთმანეთში ირევიან და ეძებენ უფრო მოხერხებულ დასაჯდომს. დავსხედით.

უეცარმა ქუხილმა, ტაშის გრიალმა შესძრა დარბაზი; კულისებიდან ნელი ნაბიჯით, მხიარული სიცილით, მაგიდისაკენ გამოემართა მაღალი, წელში ოდნავ მოხრილი, ბრგე მოხუცი.

ეს იყო დარბაზის სიხარული, ამ დარბაზისა, რომელსაც სრული უფლება აქვს გაიხაროს მთელი მსოფლიოს მშრომელთა სახელით; თავისი სიხარული მთელი მსოფლიოს სიხარულად გამოაცხადოს.

ტრიბუნაზე თავმჯდომარის მაგიდასთან მივიდა ალექსი მაქსიმეს-ძე გორკი.

მოხუცებულა ოდესღაც მრავალ ხეტიალთა შემდეგ თბილისში ჩამოსული უცხო ჭაბუკი, რომელმაც იქ აიღო კალამი ხელში და თავის ხელთნაწერს პირველად დააწერა უცნაური რამ სათაური: „მაკარ ჩუდრა". ეს იყო მოთხრობა, რომლის იქეთაც ისახებოდა რაღაც ფანტასტიკური, ჯერ კიდევ ლიტერატურასა და ხელოვნებაში არავისგან უნახავი სამყარო, სამყარო დასახლებული უბრალო და უჩინარი ადამიანებით.

შემდეგ მთელი ოთხი ათეული წლის დაუღალავი შრომით უმაღლესი ოსტატობით დაწერილი თაბახები, ურთულესი გზა მწერლობასა, ხელოვნებასა და ცხოვრებაში.

...„სიამაყისა და სიხარულის გრძნობით ვხსნი მსოფლიო ისტორიაში პირველ, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ლიტერატორთა ყრილობას".

გრიალებს ოვაცია...

სსრკ მწერალთა პირველი ყრილობა გაიხსნა.

ტრიბუნაზეა მაქსიმ გორკი; შესავალ სიტყვას ამბობს ჩვენი საუკუნის დიდი ადამიანი და შემოქმედი, რუსული მხატვრული სიტყვის დიდოსტატი, რომელსაც სრული უფლება აქვს გახსნას „მსოფლიო ისტორიაში პირველი ლიტერატორთა ყრილობა"...

მოსკოვის ქუჩები, ვიტრინები მორთულია გამოჩენილ მწერალთა სურათებით; დაწესებულებებში, ქარხნებში, ფაბრიკებში, მეტროს მშენებლობის მაღაროებში, გამოფენაზე: „ჩვენი მიღწევები", „ვოლგა-დონის" არხის მშენებლობაზე, ვეებერთელა პლაკატები, მწერალთა ყრილობისადმი მისასალმებელი ლოზუნგები.

საპატიო პრეზიდიუმისა და ყრილობის ხელმძღვანელ ორგანოთა არჩევის შემდეგ ტაშის ქუხილში ტრიბუნაზე შედგა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხანაგი ჟდანოვი, მან მოიტანა პარტიისა და მისი ცენტრალური კომიტეტის სიყვარული საბჭოთა ლიტერატურის მიმართ და მიიღო ჩვენგან საბჭოთა ლიტერატურის დიდი სიყვარული საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტისადმი. ტაშის გრიალით გავაცილეთ ორატორი.

დარბაზი შეაჩერა თავმჯდომარემ: — სიტყვა ეკუთვნის საბჭოეთის მაღაროელთა სახელოვან წარმომადგენელს.

ტრიბუნაზე შედგა მართლაც ზღაპრული გმირის გარეგნობის ადამიანი, რომელსაც სამი ახალგაზრდა მუშა შემოჰყვა; ეს იყო ნიკიტა იზოტოვი. ცნობილი კაცი, საბჭოთა სამშობლოს მოჭირნახულე, მაღაროში წერაქვის ოსტატი წარსდგა ასევე ცნობილი საბჭოთა მოჭირნახულეების, კალმის ოსტატების წინაშე ქვეყნის საჭირო საქმეებზე მოსალაპარაკებლად.

მან მოითხოვა უფრო მეტი კარგი წიგნი სოციალიზმის მშენებელთა, მუშათა, მაღაროელთა ცხოვრებაზე, იმ დიდ გმირობაზე, რომელიც ასე მასობრივია ახლა ჩვენი ქვეყნის მშრომელთა შორის, მიწის ზემოთ და მიწის გულში, ფაბრიკა-ქარხნებში და მაღაროებში. მან ხელი ჩაავლო და წინ წამოსწია სამი ახალგაზრდა მუშა: — უხელმძღვანელეთ და აღზარდეთ ახალი კადრები, ისე როგორც ვზრდი მათ მე; აი ესენიც, ჩემი აღზრდილები. დარბაზი გააყრუა ტაშის გრიალმა.

დამშვიდების შემდეგ:

ისევ ალექსი მაქსიმეს-ძე, ისევ მაქსიმ გორკი... იგი შედგა ტრიბუნაზე და დაიწყო თავისი მოხსენება.

აფათურდნენ ისევ პროჟექტორთა სინათლეები და თავხედურად ეძგერნენ ალექსი მაქსიმეს-ძეს ტრიბუნაზე. მოხსენება ჯერაც მას კარგად არ დაეწყო, რომ მოთმინებიდან გამოსულ მოხუცს გულიდან ამოხდა: „დამიცავით სინათლისაგან"! დარბაზში გულითადი სიცილი და ოვაცია.

ყრილობის სხვა მომხსენებლები თავის ჯერს ელოდებიან: ალექსეი ტოლსტოი და ნიკოლოზ ტიხონოვი, სამუელ მარშაკი და ვასილი სტავსკი, ნიკოლოზ პოგოდინი და პეტრე ლუდინი, კირპოტინი და კირშონი, გორბუნოვი და ეროვნულ ლიტერატორთა დელეგაციების ხელმძღვანელები, მათ შორის ჩვენი თავმჯდომარე მალაქია ტოროშელიძე, პრეზიდიუმში მშვიდად სხედან, მაგრამ უსათუოდ ღელავენ".

ასე დახატა ახალგაზრდა კაცის ხელმა სსრ კავშირის მწერალთა ისტორიული პირველი ყრილობის პირველი დღე.

საბჭოთა კავშირის მწერალთა პირველმა ყრილობამ დიდი და განსაკუთრებული როლი შეასრულა საბჭოთა კავშირის ხალხთა მრავალეროვნული მწერლობის განვითარების საქმეში. როგორც ცნობილია, ყრილობის მოწვევამდე მთელი წლით ადრე, მაქსიმ გორკის ინიციატივით, მთელ რიგ რესპუბლიკებში, მათ შორის საქართველოშიც, მოსკოვიდან დაიგზავნა გამოჩენილ რუს მწერალთა და მთარგმნელთა ბრიგადები, რომელთაც თარგმნეს და რუსული პრესის მეშვეობით ლიტერატურის ისტორიაში პირველად, ორგანიზებულად გააცნეს ფართო საბჭოთა საზოგადოებრიობას სსრკ ხალხების მწერლობათა კლასიკური და თანამედროვე საუკეთესო ნაწარმოებთა ნიმუშები. უეცრად, როგორც არქეოლოგიური გათხრების დროს, აღმოჩნდა მთელი საუნჯე შესანიშნავი კლასიკური და თანამედროვე ლიტერატურული ნაწარმოებებისა ეროვნულ ენებზე, რომელთაც აქამდე არავინ იცნობდა საბჭოთა კავშირში. ყრილობაზე მოსმენილ იქნა მოხსენებები უკრაინის, ბელორუსიის, აზერბაიჯანის, უზბეკეთის, სომხეთის, თურქმენეთის, ტაჯიკეთის, საქართველოს მწერლობათა შესახებ. ეს მთელი სენსაცია იყო იმდროინდელ ლიტერატურულ საზოგადოებაში და საერთოდ მთელ საბჭოთა კავშირში. ყრილობის კულისებში განუწყვეტლად ლაპარაკობდნენ ამ „აღმოჩენებზე". ამიერიდან მოძმე ერების ლიტერატორები შევიდნენ საერთო საკავშირო და მსოფლიო სამწერლო ინტერესებში.

ასე დაიწყო ოცდაათიან წლებში, სსრ კავშირის მწერალთა პირველი ყრილობიდან, ახალი ერა საბჭოთა ლიტერატურის, როგორც მრავალეროვანი, მრავალენოვანი ლიტერატურის განვითარების ისტორიაში.

დიდი მნიშვნელობა ქონდა სსრ კავშირის მწერალთა პირველ ყრილობას, მით უფრო, ქართული მწერლობისათვის. იმჟამად საქართველოში მიმდინარეობდა მკაცრი, მძიმე ბრძოლები ლიტერატურის საკითხებზე, პარტიის პოლიტიკის სწორად გაგებისათვის ლიტერატურასა და ხელოვნებაში, კლასიკური მემკვიდრეობისადმი სწორი დამოკიდებულებისათვის. ეს პროცესი საბჭოთა ქვეყნის ყველა ხალხის ლიტერატურაში მიმდინარეობდა, მაგრამ განსაკუთრებით რთული და მკაცრი იყო ქართულ მწერლობასა და ხელოვნებაში, მდიდარი ტრადიციების მქონე ლიტერატურასა და ხელოვნებაში. „რაპის" პოლიტიკურად მცდარი პოზიციების გამო დიდი ქართული ლიტერატურული მემკვიდრეობა განუკითხავად იყო უარყოფილი, დევნილნი იყვნენ დიდი ქართველი კლასიკოსები; შოთა რუსთაველი „ფეოდალიზმის მომღერლად" ითვლებოდა, ილია და აკაკი ბურჟუაზიულ მწერლებად. გადარიბდა უმდიდრესი ქართული ლიტერატურული ტრადიციები.

სსრ კავშირის მწერალთა პირველ ყრილობაზე, სადაც ქართული მწერლობის მდგომარეობის შესახებ მოხსენებით გამოვიდა საქართველოს მწერალთა კავშირის მაშინდელი თავმჯდომარე ამხ. მალაქია ტოროშელიძე, ერთბაშად შეიცვალა ყოველივე; დაბრუნდნენ კლასიკოსები, ქართული მწერლობის შემდგომი განვითარების პერსპექტივები სულ სხვანაირად გადაიშალა, ამიერიდან სწორად და ბუნებრივად.

ამ დიდი შემობრუნების კონკრეტული გამოსახულება იქნება ამ ყრილობაზევე, იყო ამხ. ტოროშელიძის მოხსენების მეორე დღესვე დიდი რუსთაველის პორტრეტის აღმართვა „კავშირთა სახლის" სხდომათა დარბაზის ერთ-ერთ სვეტზე, მსოფლიოს სხვა დიდ შემოქმედთა სურათებს შორის.

მახსოვს, ამის გამო როგორი მღელვარებით ვწერდი იქვე, ყრილობის დარბაზშივე, ჩემს პირველ ლექსს ჩვენს დიდ წინაპარზე: „რუსთველის სახე კავშირთა სახლის სვეტებიან დარბაზში". თითქოს თავისით მოვარდნენ სტრიქონები: „ეს იყო შოთა... უცებ ღელვა და ჟრუანტელი, უცებ თვალებში ბედნიერი ალმასის წვეთი — „კავშირთა სახლში" შემოვიდა დიდი ქართველი და ტრიბუნასთან დაიკავა დარბაზის სვეტი"...

ამ დიდი შემობრუნებით გამოწვეული უზომო კმაყოფილების ნიშნით წარიმართა შემდეგ ქართველი მწერლების გამოსვლები სსრკ მწერალთა პირველი ისტორიული ყრილობის ტრიბუნაზე.

ასე დაიწყო ოცდაათიან წლებში, სსრ კავშირის მწერალთა პირველ ყრილობაზე ახალი ერა ქართული საბჭოთა მწერლობის განვითარების ისტორიაში.

* * *

„ვიცნობდეთ ცხოვრებას, რათა სიმართლით ავსახოთ იგი მხატვრულ ნაწარმოებებში, ავსახოთ არა სქოლასტიკურად, უსიცოცხლოდ, არა როგორც უბრალო „ობიექტური რეალობა", არამედ სინამდვილე უნდა ვაჩვენოთ მის რევოლუციურ განვითარებაში"... „ჩვენ მაღალი ოსტატობით დაწერილი მხატვრული ნაწარმოებები გვესაჭიროება"... „იყო ადამიანის სულის ინჟინერი — ეს ნიშნავს აქტიურად იბრძოდე ენის კულტურისათვის, ნაწარმოების ხარისხისათვის"... „შეუძლებელია ადამიანის სულის ინჟინერი იყო და ლიტერატურული საქმის ტექნიკას კი არ იცნობდე"... „სამწერლო საქმის ტექნიკის დაუფლება, ყველა ეპოქის ლიტერატურული მემკვიდრეობის ათვისება — ეს არის ამოცანა, რომლის გადაწყვეტის გარეშე ადამიანის სულის ინჟინერი ვერ გახდები"... „შევქმნათ მაღალოსტატური იდეური და მხატვრული ნაწარმოებები".

ეს ამონაწერები მე მომყავს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მისალმებიდან მწერალთა პირველი ყრილობისადმი.

მხატვრული ოსტატობის საკითხი, როგორც იტყვიან, მთელი სიგრძე-სიგანით დადგა საბჭოთა კავშირის მწერალთა ამ პირველ ისტორიულ ფორუმზე. ეს მოვლენა ჭეშმარიტად კანონზომიერი იყო.

ცნობილ რუს ბელეტრისტს ლეონიდ სობოლევს ეკუთვნის, დღეს უკვე მოარული ფრაზა, რომელიც მან ამ ყრილობაზე თქვა: „პარტიამ და მთავრობამ მწერალს მისცა ყოველივე და წაართვა მხოლოდ ერთი რამ — უფლება ცუდად წერისა". აგერ ორმოცი წელი გავიდა მას შემდეგ და ამ ფრაზას თავისი ჟღერადობა ჯერაც არ დაუკარგავს. საბჭოთა მწერლების წინაშე ყოველთვის იდგა და დღესაც დგას მხატვრული ოსტატობის თავსატეხი პრობლემა.

სიამოვნებით მინდა მოვიგონო, რომ მაღალოსტატობისათვის ბრძოლის პირველ რიგებში, საბჭოთა მწერლების პირველი ყრილობის ტრიბუნაზე აღმოჩნდნენ სწორედ ქართველი მწერლები: „ყველაფერზე შეიძლება წერა, მაგრამ უნდა წერდე პირველ ყოვლისა მხატვრული დამაჯერებლობით, მართლად, გულწრფელად და მასალის სრული ცოდნით", „ბრძოლა ხარისხისათვის არის ბრძოლა ფორმის სრულყოფისათვის; როცა საბჭოთა ლიტერატურა დაეუფლება ამ ფორმას, მაშინ (და მხოლოდ მაშინ) ავმაღლდებით ჩვენ კლასიკური მწერლობის დონემდე", — განაცხადა მიხეილ ჯავახიშვილმა... „აქტიური თემის მშრალი ლოზუნგებით გადმოცემა... ეს არის დანაშაული ქვეყნის წინაშე, რომელსაც ჩვენ ყველანი ვთვლით საერთო სამშობლოდ", — თქვა ტიციან ტაბიძემ. მანვე სავსებით სამართლიანად გააკრიტიკა ბევრი პოეტი „ლექსის ნოვატორი", რომლებიც „მშვენიერ ნათელთქმას" ეკვილიბრისტიკით და უეცარ გარჯიშობით ცვლიან და ესეც დანაშაულად მიიჩნია ქვეყნის წინაშე.

ყრილობის დახურვისას მაქსიმ გორკიმ განაცხადა: „ჩვენი ყრილობა მუშაობდა... ლოზუნგით: „მაღლა აწიეთ ჩვენი შემოქმედების ხარისხი".

ლიტერატურის მხატვრული დონის ამაღლება, პროფესიული მხატვრული ოსტატობა ყრილობამ აღიარა საბჭოთა მწერლების მთელი მრავალი შემოქმედებითი მუშაობის ერთ უმთავრეს ამოცანად.

თქმა არ უნდა — კომუნისტური პარტია საბჭოთა მწერლებისაგან ყოველთვის მოითხოვდა და ჩვენი პირველი ყრილობის ძირითადი, ნომერი პირველი ამოცანაც — მწერლების თანამედროვეობისაკენ, საბჭოთა სინამდვილისაკენ შემობრუნების ამოცანა იყო, მაგრამ სწორედ ოცდაათიან წლებში პარტიამ ხაზგასმით აიღო გეზი თავის ლიტერატურულ პოლიტიკაში — როგორც, ერთი მხრივ, თანამედროვეობისაგან მწერლობისა და ხელოვნების მოწყვეტის, ისე, მეორე მხრივ, თანამედროვეობისადმი პრიმიტიული, სქოლასტიკური გამოხმაურების ტენდენციების წინააღმდეგ. თავის იმდროინდელ დადგენილებებში, მათ შორის „რაპის" გაუქმების თაობაზე, ცენტრალურმა კომიტეტმა მოუწოდა პარტიულ ორგანიზაციებს ლიტერატურული პროცესის სწორი ხელმძღვანელობისაკენ, ამ პროცესის სწორად წარმართვისაკენ; ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებს კი — სინამდვილის ღრმა და ჭეშმარიტი მხატვრული ოსტატობით ასახვისაკენ, პრიმიტიულობის წინააღმდეგ, რაშიც, სამწუხაროდ, იმხანად ბევრი ჩვენგანი ცოდავდა როგორც ე. წ. „პროლეტარული", ისე „არაპროლეტარული" მწერლობის რიგებიდან.

საბჭოთა ლიტერატურის ეს ისტორიული გამოცდილება ყოველთვის კარგად უნდა ახსოვდეს ყოველ ჩვენგანს, ყოველ საბჭოთა მწერალს.

საბჭოთა მწერლობა საბჭოთა სინამდვილის მწერლობაა, ჩვენი თანამედროვეობის მწერლობაა, ხოლო ჩვენი სინამდვილე მოითხოვს ჭეშმარიტ მაღალმხატვრულ ასახვას. ასევე მაღალ ოსტატობას მოითხოვს ჩვენგან, ქართველი მწერლებისაგან, ახალი მოვლენები, რომლებიც ხდება დღეს რესპუბლიკის სინამდვილეში, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გადამჭრელ ღონისძიებათა საფუძველზე.

ასე დაიწყო ოცდაათიან წლებში სსრ კავშირის მწერალთა პირველ ყრილობაზე ახალი ერა, ერა შეუნელებელი ბრძოლისა საბჭოთა ლიტერატურასა და ხელოვნებაში მაღალი ოსტატობისათვის.

დიახ, სსრკ მწერალთა პირველმა ყრილობამ ჭეშმარიტად დიდი როლი შეასრულა არა მარტო საბჭოთა ლიტერატურის შემდგომი განვითარების ისტორიაში, არამედ მთელი ჩვენი ქვეყნის სულიერ ცხოვრებაში.

მწერალთა პირველი ყრილობის დარბაზიდან



სურათზე: ქართველ მწერალთა ერთი ჯგუფი საბჭოთა კავშირის მწერალთა პირველ ყრილობაზე 1934 წ.; დგანან ზემოთ — ირაკლი აბაშიძე, ტიციან ტაბიძე, იოსებ გრიშაშვილი, ლეო ქიაჩელი, გერონტი ქიქოძე, ბესარიონ ჟღენტი; სხედან შუაში — მიხეილ ჯავახიშვილი, მალაქია ტოროშელიძე, მარიჯანი; ქვემოთ: პანტელეიმონ ჩხიკვაძე, გიორგი ლეონიძე, პავლე იაშვილი.

წერილი რედაქციას

კვლავაც რომ გვხიბლავდეს

ქართული ხალხური ცეკვების სიწმინდისათვის

ქართული ქორეოგრაფიული ხელოვნება დიდ და მდიდარ ტრადიციებს ემყარება. ცეკვა ქართველი ხალხის სულიერი კულტურის საუნჯეა. იგი ჩვენი ხალხის ხასიათისა და ტემპერამენტის უტყუარი გამოხატულებაა. საბედნიეროდ, ჩვენს ეპოქაში ქართულ ქორეოგრაფიას დიდი გასაქანი მიეცა, ჩვენმა ეროვნულმა ცეკვებმა საყოველთაო მოწონება და აღიარება ჰპოვეს. სწორედ ამ ეტაპზეა საჭირო ყურადღება გავამახვილოთ ამ ეროვნული საუნჯის მიმართ, რათა იგი შეუბღალავი სახით შევინარჩუნოთ. ეს პატარა წერილიც სწორედ ამ მიზანს ისახავს.

სამწუხაროდ, ბოლო დროს ქართული ხალხური ქორეოგრაფიის განვითარება, ჩვენის ფიქრით, თავის ბუნებრივ კალაპოტს სცდება. ამ მხრივ მდგომარეობა თითქმის საგანგაშოა.

არაერთხელ აღნიშნულა, რომ ქართულ ცეკვებში ფეხს იკიდებს მისთვის უცხო, ძალით შემოტანილი ელემენტები, რაც თვითმყოფობას უკარგავს მათ.

ეს, უწინარეს ყოვლისა, უნდა ითქვას ჩვენი ცეკვებისათვის არადამახასიათებელ მოძრაობებსა და ილეთებზე, რომლებიც აგრერიგად დამკვიდრდნენ და ლამის შთანთქან ქართული როკვის იერი.

ჩვენ მხედველობაში გვაქვს სახელდობრ: ზომაზე მეტად სწრაფი ტემპი, რომლის დროსაც მაყურებელი ვეღარ ამჩნევს ცალკეულ ილეთს, ბალეტისათვის, და თუ გნებავთ აკრობატიკისათვის დამახასიათებელი პირუეტები, ტურები და „ტრიუკები", რაც სრულიად შეუფერებელია ხალხური და, კერძოდ, ქართული ცეკვისათვის, მუხლებისა და ცერების გადაჭარბებული და ყოველგვარ შინაარსობრივ ფუნქციებს მოკლებული მტვრევა, რითაც მოცეკვავეები მხოლოდ თავიანთ ფიზიკურ შესაძლებლობებს ავლენენ.

ყოველივე ეს, როგორც ვთქვით, აბსოლუტურად შეუთავსებელი და აუტანელია ქართული ხალხური ცეკვისათვის, რომლისთვისაც ნიშანდობლივია სიდარბაისლე, კდემამოსილება და ვაჟკაცური სიჩაუქე. მართალია, ჩვენი მთის ცეკვებს შვენის შედარებით ჩქარი ტემპი, მაგრამ ისინი არასოდეს არ გადადიან უთავბოლო, თავბრუდამხვევ ოროშტრიალში.

შეიმჩნევა, რომ თანდათან ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხის ცეკვები ურთიერთს ემსგავსება და თითქმის შეუძლებელი ხდება გაარჩიო ერთმანეთისაგან მთიულური, აფხაზური, მოხეური, ოსური, თუშური და სხვ. ეს იმის გამოც ხდება, რომ მოძალებულ უცხოურ ილეთებს თანაბრად ვიყენებთ ჩამოთვლილ ცეკვებში. ამის შედეგად ხელში გვრჩება მოსაწყენი ერთფეროვნება და თითქმის იკარგება ჩვენთვის საამაყო მრავალსახეობა.

განსაკუთრებით უნდა მივხედოთ ჩვენი ქორეოგრაფიული ხელოვნების კლასიკურ ნიმუშს, რომელსაც ამ ბოლო ხანს „ქართული" ეწოდება. ჩვენ გულგრილად ვერ შევხვდებით აღნიშნული ცეკვის რამე სახით დამახინჯებას. ის სინატიფე, რაინდული სული და რომანტიკა, რაც ახასიათებს ამ ცეკვას, შეუბღალავად უნდა მივიტანოთ მაყურებლამდე. სამწუხაროდ, დღესდღეობით იშვიათად თუ მოგვევლინებიან ამ ცეკვის ღირსეული შემსრულებლები. ზედმეტი არ იქნება დავფიქრდეთ მის სახელწოდებაზეც, რადგანაც იგი არ გამოსახავს ცეკვის კონკრეტულ შინაარსს და, თანაც გამოდის, რომ თითქოს მხოლოდ იგი ერთი არის ქართული ცეკვა, მისთვის უფრო შესაფერისი სახელწოდება „ქალვაჟიანი" ან „სატრფიალო" ხომ არ იქნებოდა?

მეტად მტკივნეულ საკითხად რჩება ბავშვთა შორის ქორეოგრაფიული მუშაობის საქმე, ცნობილია, რომ ბავშვის არსება ადვილად ითვისებს, რასაც ასწავლი, და, ამიტომ, სწორედ აქ გვმართებს დიდი სიფრთხილე. ხელმძღვანელმა აღსაზრდელი უნდა აზიაროს ხალხური ცეკვების საფუძვლებს, მის სიწმინდეს და შეურჩიოს ისეთი რეპერტუარი, რომელიც ბავშვის ასაკს შეეფერება. ჩვენ არასწორად მიგვაჩნია, როცა ბავშვები სცენაზე ცდილობენ რადაც უნდა დაუჯდეთ მიბაძონ უფროსებს. უნდა ვეცადოთ, რომ ბავშვს ცეკვის დროს არ აღეძრას ისეთი სურვილი, ისეთი გრძნობები, რომლებიც მისთვის შეუფერებელია. ამრიგად, დღის წესრიგში დგება ბავშვთათვის სპეციალური რეპერტუარის შექმნის პრობლემა.

ორიოდე სიტყვა უნდა ითქვას საცეკვაო ნომრების აკომპანიმენტის თაობაზე. ცნობილია, რომ ჩვენი ცეკვა ძირითადად სიმღერის, დუდუკის და გარმონის თანხლებით სრულდება. ამ ბოლო დროს შეიმჩნევა არასასურველი ტენდენცია — დავიწყებას მისცენ დუდუკი. ეს ლამაზხმოვანი ინსტრუმენტი დიდი ხანია ერწყმის ქართულ ცეკვას და სიმღერას. მას უკვე დამკვიდრებული აქვს ჩვენებური ელფერი, წარმოუდგენელიც კია უდუდუკოდ ცეკვები „ქართული", „დავლური", „სამაია", „თბილისური". მაშ რატომ აღარ ისმის საკომპანიმენტო ანსამბლებში დუდუკის ტკბილი ხმა? საერთოდ კი აუცილებლად მიგვაჩნია მოვაგვაროთ ქართული ცეკვებისათვის შესატყვისი მუსიკალური თანხლების საკითხი.

ამ პატარა წერილში შემოვიფარგლეთ დღევანდელი ქართული ქორეოგრაფიის მხოლოდ ზოგიერთი საკითხით. იმედია, სპეციალისტები ყურად იღებენ ჩვენს კეთილისმსურველ შენიშვნებს და ყოველ ღონეს იხმარენ, რომ ქართული ცეკვების ეროვნული საუნჯე კვლავაც ხიბლავდეს მაყურებელს თავისი სიმშვენიერით.

ჯ. ბაგრატიონი,
რესპუბლიკის სახალხო არტისტი,

გ. ხერხეულიძე,
ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი.

ქ. ჯანიბეგაშვილი ეჯიბრება ც. ნოდიას

ახმეტა. (საქ. კორ. ბ. მილიუტინი). ახმეტის რაიონის სოფელ მატნის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის ლენინის ორდენოსანმა მუშამ ქუჟუნა ჯანიბეგაშვილმა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია ცხაკაიას რაიონის სოფელ ფოცხოს კიროვის სახელობის კოლმეურნეობის ცნობილი მეჩაიე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ციალა ნოდია, რომელსაც მკერდს უმშვენებს ლენინის ორდენი, შრომის წითელი დროშის ორდენი და მედლები.

ქ. ჯანიბეგაშვილმა შრომითი მეტოქეების შესახებ წერილი დაბეჭდა რაიონულ გაზეთ „ბახტრიონში". ცხაკაიელმა მეჩაიემ სიხარულით მიიღო ეს გამოწვევა და შრომაში დამეგობრებულს გაუგზავნა საპასუხო წერილი, სადაც აღნიშნავს: „უდიდესი ბედნიერება მხვდა წილად — ხალხმა ამირჩია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად. წელს ვიბრძვი 14 ტონა ჩაისათვის. უკვე მოკრეფილი მაქვს 10 ტონაზე მეტი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი".

დაე უფრო უხვი გახდეს კოლხეთისა და კახეთის მიწის ბარაქა.

◆

ჯილდოდ — მსუბუქი ავტომანქანები

მიმდინარე წელს შეჯამდა სანაშენო მეცხოველეობისა და მეფრინველეობის მეურნეობების მიერ გაწეული მუშაობა გასული წლის შედეგების მიხედვით. სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ სანაშენო მეცხოველეობისა და მეფრინველეობის განვითარებისათვის სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულად ცნო ბაგრის სანაშენო საბჭოთა მეურნეობა, სამტრედიის მეღორეობის ჯიშთსაშენი, ბუშისის საბჭოთა მეურნეობა და მეფრინველეობის ამიერკავკასიის ზონალური საცდელი სადგურის ექსპერიმენტული მეურნეობა.

შეჯიბრება-კონკურსში გამარჯვებულ ყველა მეურნეობას ჯილდოდ გადაეცა მსუბუქი ავტომანქანა, ფულადი პრემია და დიპლომი. ახლა ეს მეურნეობები უფრო მეტი მონდომებით შრომობენ მეცხრე ხუთწლედის მეოთხე, განმსაზღვრელი წლის დავალებათა წარმატებით შესრულებისა და შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის.

□

საკდესის ცნობა

მიფრინავს „კოსმოს-673"

1974 წლის 16 აგვისტოს საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის მორიგი ხელოვნური თანამგზავრი „კოსმოს-673". თანამგზავრზე დადგმული აპარატურა ნორმალურად მუშაობს. საკოორდინაციო-გამოთვლითი ცენტრი ამუშავებს მიღებულ ინფორმაციას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რაიონებში

□

ეს დღეები წულუკიძეში

ქალაქის კეთილმოწყობა

დღითიდღე ლამაზდება, კეთილმოწყობილი ხდება პატარა ქალაქი წულუკიძე. დიდი ხანი როდია, რაც წულუკიძის კეთილმოწყობას გულით მოჰკიდეს ხელი კომკავშირელებმა და ახალგაზრდებმა. მათ მოკლე დროში ყვავილები გაახარეს წულუკიძის ბევრ ქუჩებსა და მოედნებზე, სკვერებში. კომკავშირელები შეფობას უწევენ მწვანე ნარგავებს, ასწლოვან ხეებს, მორწყვას არ აკლებენ მათ. ახალგაზრდობის ასეთი ინიციატივა მისაბაძია.

სკოლის ახალი შენობა

წელს საექსპლოატაციოდ გადაეცემა საშუალო სკოლის ახალი შენობა სოფელ გორდში. ამ შენობას აშენებს ქუთაისის მეოთხე სამშენებლო ტრესტის № 1 სამშენებლო სამმართველო. ახალ შენობას ექნება სპორტული დარბაზი საცურავი აუზით, მასწავლებელთა საცხოვრებელი სახლი და სხვა დამხმარე ნაგებობანი.

გზების შეკეთება

რაიონში ფართოდ მიმდინარეობს გზების შეკეთება. დამთავრდა გორდი-წულუკიძე-პატარა ჯიხაიშის მაგისტრალური გზის კაპიტალური შეკეთება, აგრეთვე ამ გზაზე მდებარე კიდული ხიდის მშენებლობა, რომელიც ცხენისწყლის ორ ნაპირს აერთებს. გზებისა და ფსიქიატრიული საავადმყოფოს მშენებლობაზე რაიონს ეხმარებოდნენ თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტი-მშენებლები.

მწერლები — ახალგაზრდებთან

ამას წინათ წულუკიძელთა მიწვევით რაიონის ახალგაზრდობას ესტუმრა ქართველ მწერალთა ერთი ჯგუფი. წულუკიძელი ჭაბუკები და ქალიშვილები დიდი კმაყოფილებით შეხვდნენ კომკავშირის პრემიის ლაურეატებს ნოდარ დუმბაძეს, ჯანსუღ ჩარკვიანს და მორის ფოცხიშვილს. მათ საუბარი ჰქონდათ ახალგაზრდა მუშებთან და კოლმეურნეებთან, გააცნეს თავიანთი ახალი ნაწარმოებები.

სამართლებრივი ცოდნა მასებს

ამ თემას მიეძღვნა საქართველოს კპ წულუკიძის რაიკომის, საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროსა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის და საზოგადოება „ცოდნის" მიერ მოწვეული ორდღიანი თათბირ-სემინარი. საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცების, კანონისა და კანონიერების თემები შეადგენდნენ საშუალო სკოლებისა და პროფტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეთა „ღია კარების" დღის თემასაც, რომელიც ბოლო თვეებში მოეწყო.

წულუკიძე — წყალტუბო

წულუკიძის რაიონს სოციალისტურ შეჯიბრებებში ჰყავს გამოწვეული წყალტუბოს რაიონი. ორივე მხარეს მრავალი საინტერესო ვალდებულება აქვს აღებული სახალხო მეურნეობის ბევრ დარგში. დაიწყო სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შემოწმება, დელეგაციების გაცვლა-გამოცვლა. ორივე რაიონის გაზეთებმა — წულუკიძისამ — „კომუნიზმის გზით" და წყალტუბოს რაიონისამ — „დროშამ" გაშლილი გვერდები მიუძღვნეს ამ ორი მეზობელი რაიონის სოციალისტურ შეჯიბრებას. მოკლე, მაგრამ შინაარსიან მასალებში გამოხატულია მშრომელთა თავდადებული საქმიანობა მეცხრე ხუთწლედის მეოთხე, განმსაზღვრელი წლის ვალდებულებების შესრულებისათვის.

ი. თედიაშვილი.

სურათზე: ქ. წულუკიძის ერთ-ერთი ქუჩა.

ნ. ზერნაძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ფოტოინფორმაცია

ჩვენი დიდი სამშობლო

☐ რიგის საიდუმლო

☐ ახალი ფილმის გადაღებაზე

☐ ავტოტურიზმის მოყვარულთათვის



რიგის ქარხანა „ვეფ"-მა შეუდგა ტრანზისტორული რადიომიმღების „სპიდოლა-208"-ის გამოშვებას.

ახალ რადიომიმღებს აქვს ცხრა დიაპაზონი. მართვის ბერკეტები მიმაგრებულია რადიომიმღების გვერდით კედელზე, აქვს მბრუნავი ტელესკოპური ანტენა, ტელეფონის, მაგნიტოფონის ჩასართველი ბუდე.

„სპიდოლა-208" თავისი ტექნიკური და საექსპლოატაციო მონაცემებით ბევრად სჯობს სამკვეთოსო საზღვარგარეთულ აპარატებს.

სურათზე: ახალი ტრანზისტორული რადიომიმღები „სპიდოლა-208".

(ახალი ამბების სააგენტო).

კინოსტუდია „მოსფილმში" რეჟისორები ა. ალიევი და ვ. ნაუმოვი დგამენ ახალ ფილმს „ლეგენდა ტილ ულენშპიგელზე". ფილმის სცენარს საფუძვლად დაედო შარლ დე კოსტერის ცნობილი რომანი.

მაყურებელი ფილმში ნახავს XVI საუკუნის ამბებს, ნიდერლანდის რევოლუციის ეპოქას. მოვლენათა ცენტრშია ტილ ულენშპიგელი, რომელიც ესპანეთის ბატონობის წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთი მონაწილე ხდება. ტილ ულენშპიგელის როლს ასრულებს ტალინელი მსახიობი ა. ულფსაკი.

გადაღება მიმდინარეობს მოსკოვთან, ბალტიისპირეთსა და პოლონეთში, სადაც აქამდეა შემორჩენილი იმ დროის არქიტექტურა.

ფილმის ყველაზე რთულ ეპიზოდს იღებენ რიგასთან.

სურათზე: იღებენ ტილ ულენშპიგელის გამომშვიდობებას თავის საცოლესთან.

ა. კოვტუნის ფოტო (საკდესის ფოტოქრონიკა).

* * *



ესტონეთის სსრ. კომფორტაბელური კემპინგი „რანამიიზა" მდებარეობს ფიჭვნარში ტალინის ახლოს ფინეთის ყურეს ნაპირზე. ცხრა მოხერხებული სახლი, რომლებიც გათვალისწინებულია 112 დამსვენებლისათვის, მზად არის სტუმრების მისაღებად.

სურათზე: კემპინგი „რანამიიზა".

ვ. რუდკოს ფოტო (საკდესის ფოტოქრონიკა).

საიდან მოდის ქართული გვარი?..

პასუხი შეკითხვებზე

მას შემდეგ, რაც „კომუნისტმა" ამ სათაურით სტატია გამოაქვეყნა, რედაქციას მრავალი შეკითხვა მოსდის. მკითხველებს აინტერესებთ გაიგონ თავიანთი გვარების წარმომავლობა, სურთ იცოდნენ რა შინაარსი უდევს საფუძვლად საგვაროვნო სახელებს (პატრონიმებს), სად, ან რა დროიდან არიან ისინი გავრცელებულნი და სხვ.

შემკითხველთა შორის არიან თბილისელი ახალგაზრდები მანანა და გელა **ხანდოლიშვილები**, რომლებიც გვთხოვენ გავაგებინოთ მათი გვარის წარმოშობის ამბავი.

ჩვენ ვუპასუხებთ მანანასა და გელას შეძლებისამებრ, მაგრამ პირველ ყოვლისა იმას მოვახსენებთ, რომ ცალკეული გვარების წარმოშობის დადგენა ბევრ შემთხვევაში ადვილი როდია.

საქმე ის არის, რომ ჩვენ ჯერჯერობით არა გვაქვს ისეთი საერთო გამოკვლევა, ან საცნობარო წიგნი, სადაც თავმოყრილი იქნებოდა უმრავლესობა მაინც ქართული გვარებისა საჭირო ახსნა-განმარტებითი და ისტორიული მიმოხილვის თანდართვით. ამგვარი წყაროს უქონლობის გამო ჩვენ მოგვიხდა ხსენებული გვარის ირგვლივ ცნობების ძებნა ძველ დოკუმენტებში. რაკი ჩვენთვის ხელმისაწვდომ გამოქვეყნებულ მასალებში სათანადო ცნობები არ აღმოჩნდა, გადავწყვიტეთ დავკვირვებოდით თვით საგვაროვნო სიტყვაში მოცემულ ფუძეს, გაგვეთვალისწინებინა მისი შინაარსი და ამის საფუძველზე გამოგვეტანა დასკვნა.

როგორც ცნობილია, ქართულ გვართა უმრავლესობა წარმომდგარია ადამიანთა, ტომთა ან ხალხთა (ეროვნებათა) სახელებისაგან, რომლებსაც **ძე** ან **შვილი** აქვთ დართული (შოთაძე, გიორგაძე, დავითაშვილი, თუშიშვილი, მეგრელიშვილი, რუსიშვილი, ფრანგიშვილი და სხვ.). მაგრამ ხანდოლიშვილში ფუძედ მოვლენილი **ხანდოლი** საკუთარ სახელად არ გვხვდება, ის არც სხვა რაიმე გარკვეული მნიშვნელობის მქონე სიტყვაა. ამიტომ საფიქრებელია, ხომ არ არის იგი დროთა განმავლობაში ბგერითი შედგენილობის მხრივ შეცვლილი სიტყვა? თუ მართლა განიცდია ასეთი ცვლილება, მაშინ როგორი სახე უნდა ჰქონოდა უწინ?

დაკვირვებამ დაგვარწმუნა, რომ ხანდოლი გეოგრაფიული სახელისაგან ნაწარმოებ სიტყვათა რიგს განეკუთვნება და მას საფუძვლად უდევს სოფლის სახელი **ხანდო**. ამ სოფლის მცხოვრების აღსანიშნავად, წესის მიხედვით, -ელ დაბოლოების დართვაა საჭირო — **ხანდოელი** ისე, როგორც გორელი, თბილისელი, სიღნაღელი... სწორედ ეს ხანდოელი უნდა ყოფილიყო ადრინდელი სახე **ხანდოლ**-ისა, რომელიც საფუძვლად უდევს საძიებელ გვარს. მას, როგორც ვხედავთ, ე ხმოვანი დაჰკარგვია. მაშ ხანდოლიშვილი იმ ტიპის გვარებს ეკუთვნის, რომლებიც მიუთითებენ საგვარეულოს წინაპართა პირველ საცხოვრებელ პუნქტზე. ამ გვართა ნიმუშებია: ხონელიძე, დილმელიშვილი, გორელიშვილი, ქსოვრელიშვილი ბოდველიშვილი...

სადაურობის მაჩვენებელი იმ გვართა ნიმუშად კი რომელთაც ე დაკარგული აქვთ (მსგავსად ხანდოლიშვილისა), შეიძლება დავასახელოთ **არბოლიშვილი**, რომლის წინარე სახე **არბოელიშვილი** ყოფილა, როგორც ამაზე თვით ამ გვარის წარმომადგენლები მიუთითებენ. ისინი ამჟამად სოფელ ერედვში ცხოვრობენ (ცხინვალის რ.) და წარმოშობით სოფ. არბოდან ყოფილან (გორის რ.). ამგვარად ხანდოლიშვილი და არბოლიშვილი, როგორც იტყვიან, ერთი მოდელის (სახის) სიტყვებია.

ასეთი გვარები წარმოშობის თვალსაზრისით მეორადია, ე. ი. შემდეგ შექმნილი, ეს იმას ნიშნავს, რომ ამ გვარეულობათა წინაპრებს, სანამ ისინი პირვანდელ ადგილზე ცხოვრობდნენ, სხვა გვარები ჰქონიათ, ახალ ადგილზე დამკვიდრების შემდეგ კი ძველი დაუკარგავთ და ადრინდელი საცხოვრებელი ადგილის მინიშნების საფუძველზე ახალი შეუქმნიათ. ამგვარად, ცხადი ხდება, რომ ამ გვარების წარმოშობა მოსახლეობის ადგილმონაცვლეობასთან არის დაკავშირებული. ამ პროცესს ძველად სხვადასხვა მიზეზი განაპირობებდა, მთავარი მათ შორის მაინც ბატონყმობის მძიმე უღელი და გარეშე მტერთა თარეში იყო.

ბატონისაგან შევიწროებული ყმა გლეხი მშობლიურ მიწაწყალს სტოვებდა, სხვაგან სახლდებოდა და კვალის დასაფარავად გვარსაც იცვლიდა, ზოგჯერ ირქმევდა განუსაზღვრელობითი მნიშვნელობის ისეთ გვარს, როგორც, მაგალითად, **ახალკაცი, ახალმოსულიშვილი, მოსულიშვილი, ხიზანიშვილი** და სხვ.

მეორე შემთხვევაში გვარებში შენარჩუნებულია კონკრეტული გეოგრაფიული სახელები. ეს გასაგებიც არის, მტრის თარეშის შედეგად აოხრებული და ლტოლვილი გლეხი, ახალ სამყოფელში მოქცეული, მშობლიური კუთხის, სოფლის თუ დაბა-ქალაქის სახელწოდებას აქსოვდა ახლადშექმნილ გვარში, რათა შთამომავლობისათვის შეენახა მოგონება პირვანდელ საცხოვრისზე. მასობრივი ლტოლვა სამშობლო მხარიდან თურქ-ოსმალთა მოძალების გამო, როგორც ცნობილია, წილად ხვდა სამხრეთ საქართველოს მოსახლეობას (მესხეთს) და ამის შედეგად გაჩნდა ქართლში და იმერეთ-გურიაში გვარები: **იშხნელი, თუხარელი, ოცხელი, გოკიელი, თორელი, ჯაყელი, მურჯიკნელი, მუსხელიშვილი, ასპინძელაშვილი, კლარჯიშვილი, კოლელიშვილი.**

ხანდოს სახელით საქართველოში ორი სოფელია ცნობილი, ერთი ჯავახეთშია (ახალქალაქის რ.), მეორე — მთიულეთში (დუშეთის რ. აქვეა ხანდოსხევიც), ხანდოშვილები ანუ იგივე ხანდოლიშვილები კი კახეთში სოფელ მაშნაარში (სიღნაღის რაიონი) ცხოვრობენ. რომელი ხანდოდან უნდა იყვნენ ისინი იქ გადასულნი?

ამის გარკვევას დამატებითი ძიება სჭირდება, რისთვისაც როგორც ხალხური (ზეპირი), ისე ლიტერატურული ცნობების მოპოვება იქნება საჭირო.

უფრო რეალური უნდა ჩაითვალოს ვარაუდი ამ გვარეულობის მთიულურ წარმოშობაზე, რასაც მხარს უჭერს ისტორიული მოვლენების გათვალისწინებაც.

ილია მაისურაძე.

სასწაული?!...

13 საათი ჭაში ჩამარხული...

მხოლოდ სასწაული შეიძლება ეწოდოს იმას, რაც ამ დღეებში ამბროლაურში მოხდა. რაიონული გაზეთის რედაქციის მუშაკი იური კობახიძე თავის ეზოში ჭაში ჩავიდა შიგ ჩავარდნილი რეზინის მილის ამოსაღებად. მოულოდნელად ჭის კედლებმა ნგრევა იწყო, წუთიც, და 16 მეტრი სიმაღლის კედლის ნანგრევები ზრიალით ჩაიქცა ფსკერისაკენ...

თავზარდაცემული ოჯახის წევრები მიცვივდნენ პირთამდე ქვალორღით ამოვსებულ ჭას... რამდენიმე წუთში ეზო და ქუჩა ხალხით გაივსო... დაყოვნება არ შეიძლებოდა. ჭა უნდა გაეწმინდათ და რაც შეიძლება სწრაფად.

შემთხვევის ადგილზე მოიყვანეს ბულდოზერი და ექსკავატორი, მაგრამ ქალაქის არქიტექტორმა პ. კობერიძემ ყველაზე სწორი გადაწყვეტილება მიიღო — ტექნიკას შეიძლებოდა სარგებლობის ნაცვლად, პირიქით, გამოუსწორებელი უბედურება დაეტრიალებინა. ჭა უნდა გაეწმინდათ მხოლოდ ხელით, ფრთხილად და თანმიმდევრულად.

და დაიწყო მძიმე, თავგანწირული შრომა. ჯერ ბარებით, შემდეგ კი უშუალოდ ხელით. ერთდროულად მხოლოდ ორი კაცი მუშაობდა ჭაში. ქვა-ღორღით სავსე კასრები ბაგირით ამოჰქონდათ ზემოთ. ერთმანეთს ენაცვლებოდნენ ჭის სიღრმეში თუ მიწის ზედაპირზე. ადამიანებს არ აშინებდა საფრთხე, რომელიც მიწის ხელახალი ჩამონგრევით ყოველ წუთს ემუქრებოდა მათს სიცოცხლეს...

ოთხი საათი სრულდებოდა საბედისწერო მომენტიდან, როცა მიწიდან ხმა — ყრუ კვნესის მაგვარი რაღაც მოესმათ ჭაში მომუშავეთ. ცოცხალია! ელვასავით გავარდა ეს ცნობა. იქნებ გადარჩეს! მშველელთ ენერგია გაუასკეცდათ. ტყიბულიდან გაჩნდა სამთო-მაშველი რაზმიც.

კიდევ რამდენიმე საათი და შესაძლებელი გახდა განწირულთან გამოლაპარაკება — ნუთუ უვნებელია. მხოლოდ ქვა-ღორღში ჩაჭედილს აწუხებს სიმძიმე და აუტანელი სიცივე!..

თავაუღებლად, თავგანწირვით მუშაობენ პ. კობერიძე, ვ. იაშვილი, ჭ. გოგორელიანი, ს. ნიკოლაიშვილი, ბ. ბაკურაძე და ჯ. გოგოლაძე. ხელით თხრიან, ხელით ამოაქვთ მიწა. ისინი ვერც საკუთარი ფრჩხილებიდან გამონაჟონ სისხლს გრძნობენ... საოცრად სწრაფად გადის მათთვის დრო, ირგვლივ მყოფთ კი საუკუნედ ეჩვენებათ იგი.

13 საათს გაგრძელდა ბრძოლა სიცოცხლის გადასარჩენად. ღამის ორი საათი სრულდებოდა, როცა სამთო-სამაშველო მოწყობილობით ჭიდან ამოიყვანეს გაფითრებული, განაწამები ადამიანი.

რა მოხდა? როგორ გადაურჩა 50 ტონამდე ქვა-ლოდის თავზე დანგრევას?

მეორე დღეს საავადმყოფოში აი რა გვიამბო თვითონ: როცა კედელმა ძირიდან დაიწყო ნგრევა, შევეცადე ზემოდან მოვქცეოდი ნანგრევს და გარკვეულ სიმაღლეზე კიდეც ავიწიე. მაგრამ ყელთამდე უკვე ქვალორღში ჩაფლულს განმეორებით მომესმა გრუხუნი ზემოდან და ინსტინქტით თავს ზემოთ წაღებულმა ხელებმა შეაკავეს... ქვის გროვა, ალბათ იმოქმედა ჭის შეკუმშული ჰაერის წინააღმდეგობამაც და მოხდა სასწაული. — ქვები შეიკრა თაღად და გაიჭედა კედლებს შორის, ხოლო 30-40 სმ დიამეტრის ბრტყელმა ქვამ თავთან შექმნა მცირე სიცარიელე და სუნთქვაც შესაძლებელი გახდა.

ასე სასწაულებრივად გადარჩა სიცოცხლე.

გ. თომაძე.

□ □

მაყურებელმა ნახა პრემიერა

ცხინვალის კ. ხეთაგუროვის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის ქართულმა დასმა მაყურებელს სეზონის უკანასკნელ პრემიერად უჩვენა ნ. დუმბაძის „საბრალდებო დასკვნა". პიესის დადგმა ეკუთვნის რეჟისორს თ. ალექსიშვილს, მხატვრობა — ვ. ცერაძეს, მუსიკა — კომპოზიტორ რ. კოქილოტის.

სპექტაკლში მონაწილეობენ რესპუბლიკის სახალხო არტისტი ი. შერაზადიშვილი. რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები რ. პლიევა, ვ. დარბუაშვილი, მსახიობები თ. მკრტჩიანი, ჯ. გოჩაშვილი, ზ. გასიევი, შ. ცხოვრებოვი და სხვები.

სპექტაკლი მაყურებელმა გულთბილად მიიღო.

ვ. მელქოევი.

სასამართლოს დარბაზიდან

დოყლაპიობის ფასი

სოხუმის საზღვაო ნავსადგურის სათბობი მეურნეობის ყოფილმა გამგემ ჩხოტუამ ნავთობპროდუქტებზე თაღლითური მაქინაციებით რამდენიმე წელიწადში ათიათასობით მანეთი სახალხო ფული ჩაიჯიბა. იგი სარგებლობდა ნავსადგურის სამმართველოსა და ბუღალტერიის მუშაკთა დოყლაპიობით და გემებსა და კატარღებში ჩასასხმელ საწვავს „ჩამოსწერდა" ხოლმე, შემდეგ კი კერძო პირებზე ყიდდა.

ბუღალტერია არ აღრიცხავდა მიღებულ სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ანგარიშებს, ფორმალურად ატარებდა რევიზიებსა და ინვენტარიზაციებს. ხოლო სოხუმის დიზელის სათბობის საქალაქო ნავთობბაზის ზოგიერთი დოყლაპია მუშაკი საწვავს სცემდა ხელშეკრულების, მინდობილობისა და განცხადების უქონლად. ასე გახდა შესაძლებელი საწარმოო დისციპლინის უხეში დარღვევის შედეგად დიდი მასშტაბის დატაცება.

სახალხო მეურნეობისათვის ზარალის მიყენების გამო ჩხოტუას მიესაჯა 15 წლის თავისუფლების აღკვეთა, ხოლო მის თანამონაწილეს დატაცებაში — გვალიას — 10 წლის თავისუფლების აღკვეთა. ორივეს ჩამოერთვათ ქონება. მსჯავრი დაედოთ ამ საქმეში გარეულ სხვა პირებსაც, რომლებსაც ბრალი მიუძღვოდათ სახელმწიფოს სახსრების დატაცებაში.

სასამართლო კოლეგიამ გამოიტანა კერძო განჩინებანი, რომლებშიც მოცემულია რეკომენდაციები სოხუმის საზღვაო ნავსადგურში მსგავს დანაშაულობათა ხელშემწყობი მიზეზებისა და პირობების აღმოსაფხვრელად.

ვ. კულიკოვი,

საკდესის კორ.

ფეხბურთი

გამარჯვებით დაიწყეს

მოსკოვის „დინამოს" ფეხბურთელთა გუნდი, რომელიც მონაწილეობს საერთაშორისო ტურნირში ესპანეთში, ქალაქ სანტანდერში შეხვდა ადგილობრივ „ხიხონს". თამაშის ძირითადი დრო დამთავრდა ფრედ — 0:0. პენალტების სერიამ გამარჯვება მოუტანა დინამოელებს.

ცსკა — „ჩერნომორეცი"

გუშინ მოსკოვში „დინამოს" ცენტრალურ სტადიონზე გაიმართა „ა" კლასის უმაღლესი ლიგის საკავშირო ჩემპიონატის მე-18 ტურის ბოლოსწინა მატჩი — ცსკა — „ჩერნომორეცი". თამაშის მე-12 წუთზე დოროფეევმა გაიტანა ბურთი, რომელიც ერთადერთი გამოდგა ამ შეხვედრაში და მატჩის არბიტრმა, თბილისელმა კ. ყრუაშვილმა არმიელთა მეოთხე გამარჯვება აღნიშნა—1:0.

ლიდერების მარცხი

„ა" კლასის პირველი ლიგის საკავშირო ჩემპიონატის ერთპიროვნული ლიდერის — ბაქოს „ნეფტჩის" დამარცხებას ქუთაისის „ტორპედოსთან" მოჰყვა გათამაშების კიდევ ერთ-ერთი ლიდერის — კუიბიშევის „კრილია სოვეტოვის" წარუმატებლობა. ვოლგელები თამაშობდნენ მინსკში „დინამოსთან" და დამარცხდნენ ანგარიშით 1:4.

უმაღლესი ლიგის საგზურისათვის კიდევ ერთმა მებრძოლმა—როსტოვის სკა-მ ფრედ დაამთავრა შეხვედრა თავის მოედანზე სიმფეროპოლის „ტავრიასთან" — 2:2, ხოლო მოსკოვის „ლოკომოტივმა" დედაქალაქში დიდი ანგარიშით სძლია პერმის „ზვეზდას" — 6:0.

ამრიგად, გათამაშებას 24 ტურის შემდეგ კლასიფიკაციურად ლიდერობს „ნეფტჩი" — 30 ქულა. თითო ქულით ნაკლები აქვთ „ლოკომოტივს", სკა-ს და კემეროვოს „კუზბასს". ქუთაისის „ტორპედომ" 25 ქულით მეათე ადგილიდან მერვეზე გადაინაცვლა.

თასი — ლაითურელებს

კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ფეხბურთელთა 748 გუნდი ჩაება წლის დამდეგს რესპუბლიკურ შეჯიბრებაში „ოქროს თავთავის" პრიზზე.

15 აგვისტოს კი თბილისში, სკა-ს სტადიონზე გაიმართა ამ საინტერესო ტურნირის ფინალი მახარაძის რაიონის ლაითურის ჩაის საბჭოთა მეურნეობისა და გურჯაანის რაიონის სოფელ ჩუმლაყის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის გუნდებს შორის.

შეხვედრა წარიმართა ლაითურელების აშკარა უპირატესობით და გაიმარჯვეს ანგარიშით 6:1.

ლაითურის გუნდმა მოიპოვა უფლება მონაწილეობა მიიღოს „ოქროს თავთავის" თასის საკავშირო გათამაშებაში.

ნ. კოხტაშვა.

მოკლედ...

ძიუდოობა. გუშინ თბილისში გაიმართა საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრა თავისუფალ ჭიდაობაში იაპონიის პროფკავშირთა ნაკრებსა და საქართველოს „განთიადის" გუნდს შორის. ორთაბრძოლები მასპინძელთა უპირატესობით მიმდინარეობდა და მატჩიც მათივე გამარჯვებით დამთავრდა — 8:0.

ჭადრაკი. ლენინგრადელმა ალექსანდრე კოჩიევმა მანილაში (ფილიპინები) ჭაბუკთა მსოფლიოს ჩემპიონატის მთავარი ფინალის მეოთხე ტურში ყაიმი გააკეთა იუგოსლაველ მარიანოვიჩთან.

კალათბურთი. ტალინში კოსმონავტ ი. გაგარინის ხსოვნისადმი მიძღვნილ ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირზე გაიმართა მეორე ტური. სსრ კავშირის პირველმა ნაკრებმა ანგარიშით 100:68 (53:27) მოუგო ჩეხოსლოვაკიის გუნდს, ხოლო მეორე ნაკრებმა — იუგოსლაველ კალათბურთელებს — 86:71 (46:36).

წყლის თხილამურები. დნეპროპეტროვსკში დამთავრდა საკავშირო პირველობა, რომელშიც გუნდური გამარჯვება მოიპოვეს მოსკოველებმა. ქვეყნის აბსოლუტური ჩემპიონის სახელები დაისაკუთრეს ვაჟთა შორის მინსკელმა ალექსანდრე კადილინსკიმ, ქალებში — მოსკოველმა ეკატერინე მატიუხინამ.

ველოსპორტი. მონრეალში (კანადა) მსოფლიოს ჩემპიონატზე გაიმართა ქალთა შორის სპრინტერული რბოლის ნახევარფინალები, სადაც საბჭოთა ველოსიპედისტები გალინა ცარიოვა (ლენინგრადი) და თამარ პილშჩიკოვა (ტულა) ეჯიბრებოდნენ ამერიკელ სპრინტერებს. გ. ცარიოვამ წააგო რბოლა და ახლა იბრძოლებს ბრინჯაოს მედლისათვის, თ. პილშჩიკოვამ კი ბრძოლა მოიგო და ფინალში გავიდა.

წყალბურთი. მოსკოვში დაიწყო ჭაბუკთა მერვე საერთაშორისო ტურნირი „მეგობრობა", რომელშიც მონაწილეობენ ბულგარეთის, უნგრეთის, კუბის, პოლონეთის, რუმინეთის, ჩეხოსლოვაკიისა და სსრ კავშირის (ორი შემადგენლობა) ნაკრები გუნდები. შეჯიბრების პირველ დღეს ჩვენი ქვეყნის პირველმა ნაკრებმა ანგარიშით 7:1 დაამარცხა მეორე ნაკრები. ჩეხოსლოვაკიის გუნდმა მოუგო რუმინელებს — 5:3, ხოლო პოლონეთისა და ბულგარეთის, კუბისა და უნგრეთის წყალბურთელთა შეხვედრები დამთავრდა ფრედ — 6:6 და 4:4.



ნიკოლოზ ჩაჩავა

ქართულმა მწერლობამ დიდი დანაკლისი განიცადა. მოულოდნელად გარდაიცვალა ცნობილი პოეტი და საზოგადო მოღვაწე ნიკოლოზ ჩაჩავა.

ნ. ჩაჩავამ მთელი თავისი ნიჭი და ენერგია მშობლიური მწერლობის, განსაკუთრებით კი საბავშვო ლიტერატურის განვითარებას შეალია. უკვე ჩვენი საუკუნის ოციან წლებში ქართული საბჭოთა ლიტერატურის აღმოცენებისა და ჩამოყალიბების პირველსავე ხანებში იგი აქტიურად მონაწილეობდა იმდროინდელ ლიტერატურულ „ბრძოლებში". მას შემდეგ — ქართული საბჭოთა მწერლობის ისტორიის მთელ მანძილზე — იგი ნამდვილი პატრიოტული მგზნებარებით უჭერდა მხარს ყველაფერს ახალსა და მოწინავეს ჩვენი შემოქმედებითი ინტელიგენციის ცხოვრებასა და მოღვაწეობაში.

ნ. ჩაჩავა დაიბადა ქ. ქუთაისში 1901 წლის 26 ივნისს. 1921 წელს დაასრულა ქუთაისის ქართული გიმნაზია და სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ფილოლოგიის ფაკულტეტზე. ჯერ კიდევ ქუთაისის ქართულ გიმნაზიაში სწავლის დროს წერდა ლექსებს, იყო აქტიური წევრი ქუთაისის მოსწავლე ახალგაზრდობის ლიტერატურულ-შემოქმედებითი წრეებისა, სადაც ხელნაწერი და ნაბეჭდი ჟურნალები გამოდიოდა. ნ. ჩაჩავა ამ გამოცემების ხელმძღვანელთაგანი იყო.

1922 წელს თბილისში დაარსდა ახალგაზრდა ქართველ ფუტურისტთა ლიტერატურული გაერთიანება, რომელშიც შედიოდა ნ. ჩაჩავა, როგორც გაერთიანების ერთ-ერთი მეთაური და ორგანიზატორი, მისი აქტიური თანამშრომლობით და თანარედაქტორობით გამოდიოდა გაზეთი „დროული", ჟურნალი „ლიტერატურა" და სხვ. ეს გაერთიანება შემდეგ გადაკეთდა ლიტერატურის მემარცხენე ფრონტად და სცემდა ჟურნალ „მემარცხენეობას". ამ ჟურნალის სარედაქციო კოლეგიაში ნ. ჩაჩავაც შედიოდა.

ნ. ჩაჩავა სამწერლო ასპარეზზე ჩვენი საუკუნის ოციან წლებში გამოვიდა. ბევრი ქარიშხლიანი, შემოქმედებითი წინააღმდეგობით აღსავსე დღე გამოიარა პოეტმა, სანამ მისი მხატვრული აზროვნების, მხატვრული ჭვრეტის „სარკმელს გამჭვირვალე და სუფთა დღეები" მოადგებოდნენ. ამ „გამჭვირვალე და სუფთა დღეების" ხილვამ ახლებურად აამღე[illegible] დაუკავშირა იგი სინამდვილეს, ახალ ცხოვრებას.

პოეტი არასოდეს ყოფილა გულგრილი საბჭოთა საზოგადოების განვითარების მნიშვნელოვანი მოვლენებისა და აქტუალური პრობლემებისადმი, მუდამ ცხოვრების შუაგულში ტრიალებდა.

მხატვრული აზროვნების ბუნებრივი სისადავე, სილაღე, უშუალობა და გულწრფელობა უმთავრესი და უპირველესი მიზეზია იმისა, რომ პოეტის საბავშვო ლექსები დიდი პოპულარობით და სიყვარულით სარგებლობს მოზარდი თაობის ფართო წრეებში. პატარა მკითხველს ხიბლავს პოეტის თხრობის სისხარტე და მოხდენილი იუმორი.

ხანგრძლივი შემოქმედებითი მოღვაწეობის გზაზე იგი ცოცხლად და დროულად ეხმაურებოდა ყოველ ახალ სასიხარულო მოვლენას საბჭოთა საქართველოს ცხოვრებაში. სიცოცხლის უკანასკნელ წუთებამდე გატაცებით უმღეროდა ჩვენს საბჭოთა სამშობლოს — ქართლის ველებს და თბილისის ახალ მშენებლობებს, კომუნისტური შრომის დამკვრელთა ჭაბუკურ ენთუზიაზმს, მშენებლის მარჯვენას და მხვნელ-მთესველთა გარჯას, უმღეროდა ხალხთა ძმობას და საქვეყნო მშვიდობას.

ნ. ჩაჩავა აქტიურ მთარგმნელობით საქმიანობასაც ეწეოდა. მან თარგმნა რუსი, უკრაინელი, აზერბაიჯანელი, სომეხი, ოსი პოეტების ლექსები.

აღსანიშნავია მისი საზოგადოებრივი მოღვაწეობაც. ხანგრძლივი დროის მანძილზე მუშაობდა გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოსა" და ჟურნალ „დროშის" რედაქციებში საპასუხისმგებლო თანამდებობებზე. წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა მწერალთა კავშირის საბავშვო და საყმაწვილო ლიტერატურის სექციას. უკანასკნელ ხანს იყო საქართველოს მწერალთა კავშირის პარტბიუროს მდივნის მოადგილე. მიღებული ჰქონდა მთავრობის ჯილდოები.

წავიდა ჩვენგან შესანიშნავი პოეტი და მამულიშვილი, ყველასათვის საყვარელი ადამიანი, რომელმაც მთელი თავისი ნიჭი და უნარი ჩვენი ნორჩი თაობის აღზრდის კეთილშობილურ საქმეს შესწირა.

ქართველი მწერლები და ჩვენი ლიტერატურის მრავალრიცხოვანი მკითხველები არასოდეს არ დაივიწყებენ მის ნათელ ხსოვნას.

საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობა.

კვალი შემთხვევის

სარდაფისაკენ მიდიოდა

ღამით უცნობმა ბოროტმოქმედებმა ვაჟა ფშაველას პროსპექტზე № 162 მაღაზიის მინა გატეხეს და შიგ შევიდნენ. ორჯონიკიძის შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების ოპერატიულმა ჯგუფმა თ. ჯიბლაძის, შ. დევდარიანის, დ. დათუნაშვილისა და ი. ხარიტონაშვილის შემადგენლობით გულმოდგინე მუშაობის შედეგად იპოვა ბოროტმოქმედნი. ტაშკენტის შესახვევის ერთ-ერთი სახლის სარდაფში ავტომანქანების სათადარიგო ნაწილები, შემდეგ მაღაზიაში მოტაცებული მაგნიტოფონი იპოვნეს. სარდაფის მფლობელის — ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს ავტომანქანის მძღოლის ჯალიაბოვის დაპატიმრების შემდეგ შეიპყრეს ძარცვის სხვა მონაწილენიც — სულ ხუთი კაცი, რომელთა ბინებში იპოვეს აგრეთვე მაღაზიაში ნაქურდალი საქონელი.

გამოძიება მიმდინარეობს.

(საქინფორმი).

რედაქტორი **დ. მჭედლიშვილი.**

ეს ვნახოთ, ეს მოვისმინოთ

ტელევიზია

17 აგვისტო

პირველი პროგრამით

10.05 — ფერადი ტელევიზია. დილის ვარჯიში (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.20 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — ფერადი ტელევიზია: „ბურატინოს გამოფენა" (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.00 — სატელევიზიო მრავალსერიიანი მხატვრული ფილმი „პარიზელი მოჰიკანები" (VI სერია), 12.00 — საქართველოს ფერადი ტელევიზია: „მსოფლიო, ნამარხი ქალაქი მუზეუმი", 12.20 — სატელევიზიო დადგმა, 12.50 — „თქვენთვის, მშობლებო!" (გადმოცემა მოსკოვიდან), 13.20 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „ფიქრები პურზე" (ქართულ ენაზე), 14.10 — კინონარკვევი, 14.20 — „ჯანმრთელობა". სამეცნიერო-პოპულარული პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 14.50 — სსრ კავშირის პირველობა „ტყავის ბურთის პრიზზე" (გადმოცემა კუიბიშევიდან), 16.00 — 30 წუთი კინოს მოყვარულთათვის, 16.30 — ფერადი ტელევიზია. საერთაშორისო ტურნირი ფრენბურთში: საბჭოთა კავშირისა და აშშ ნაკრები გუნდები (გადმოცემა მოსკოვიდან), 17.00 — კინონარკვევი, 17.10 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 18.05 — ფერადი ტელევიზია: სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „საბჭოთა ქვეყნის ბავშვები" (გადმოცემა მოსკოვიდან), 19.00 — გადაცემა „რაფიელ ერისთავი", 19.30 — კანონიერების სადარაჯოზე, 19.45 — ფერადი ტელევიზია: დოკუმენტური ფილმი „სიმღერა პორტუგალიაზე" პრემიერა (გადმოცემა მოსკოვიდან), 20.50— კინონარკვევი, 21.00 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 21.30 — საესტრადო კონცერტი, 22.00— „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — საქართველოს ფერადი ტელევიზიის კინოდარბაზი. მხატვრული ფილმი „ჩაიკოვსკი" (I სერია) ფილმის შემდეგ — „ახალი ამბები".

მეორე პროგრამით

18.05 — კინოპროგრამა, 19.00 — განცხადებები. 19.05 — მოსწავლეთათვის სატელევიზიო დადგმა „ჯორდანო ბრუნო", 20.05 — კონცერტი, 20.35 — „თბილისი და თბილისელები", 21.05 — სატელევიზიო ფილმი-სპექტაკლი „ირკუტსკის ისტორია" (I სერია).

საქართველოს სსრ მხატვართა კავშირი და საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა რესპუბლიკის დამსახურებული მხატვარი, საქართველოს კომკავშირის პრემიის ლაურეატი

გულდა კარლოს-ძე კალაძე

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

კომუნისტი

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

380008 თბილისი-8, ლენინის 14 რედაქტორის მოადგილეების — 99-93-03, 99-03-09 პ/მგ მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10 განყოფილებებისა: პარტიული—99-87-61, პროპაგანდის — 93-22-93, მრეწველობის — 93-20-34, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, ვაჭრობ. მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90, უცხოეთის — 99-60-21, წერილების — 99-78-24, ილუსტრაციის — 93-28-54.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 უე 02786 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380008 თბილისი-8, ლენინის ქ. 14